# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, რუსთაველის პრ. სპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.
ისამართი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.
**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

წელიწადი მეექვსე.

შაბათი, ენკენისთვის 25. 1920 წ. № 105

ფასი 10 მანეთი


დამფუძნებელი ბ-ნი **გ. ზ. გვაზავა** კრების წევრი

## წაიკითხავს ლექციას

ქუთაისში სექტემბრის 26

,,ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველო''

ამის შემდეგ ეს ლექცია წაკითხული იქნება თბილისში.

38

## ეროვნულ-დემოკრატიული

**პარტიის მთავარი კომიტეტი**

მოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

კვირას, 26 ამა ენკენისთვეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში იქნება გადახდილი წლის წირვა და პანაშვიდი

**მატრონა დანიელის ასულის**

## ცინცაძის.

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის შვილები და შვილის შვილები. წირვის დასაწყისი დილის 11 საათზე. 3136 2—1

---

ნინა და ვასილი ძალაძნიები შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ 27 სექტემ. 1920 წ. ორშაბათს გადახდილი იქნება წლის წირვა მათი დაუვიწყარი შვილის

**გრიგოლ (გრიშა) ვ სილის-ძე**

**მალაშხიას**

პანაშვიდი და წირვა სასაფლაოზე დიდების პანთეონში 1 საათზე 3142 2—2

---

შაბათს, სექტემბრის 25-ს,

მეორე სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული თეატრი)

რუსთაველის პროსპექტი, № 21, დილის 10 საათზე

**დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ამ თეატრის ბუფეტების და საკანდიტეროს იჯარით გასაცემად 1920/21 წლის სეზონისათვის.**

იჯარის დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება თეატრის კონტორაში ყოველ დღე დილის 10 საათიდან 12 საათამდე შეჯიბრებაში მონაწილეობის

# მისაღებად

ამ თავითვე უნდა წარმოდგენილი იქმნეს ბე. 38. 4—1.

---

## ქართული კლუბი

კვირას, 26 სექტემბერს 1920 წელს, დღისით 12 საათზე დანიშნულია ქართულ კლუბის დარბაზში

### საგანგებო საზოგადო წევრთა კრება

განსახილველი საგნები:

1) 1920/21 სამოსწავლო წლის სტიპენდიების გაგრძელება
2) კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები
3) მიმდინარე საკითხები

**შენიშვნა:** კლუბის წესდების მე-31 მუხლის ძალით თუ კრება არ შესდგა კანონიერი წევრთა რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, შემდეგი კრება დანიშნულია 3 ოქტომბერს რომელიც ითვლება კანონიერად რა მცირე წევრთა რიცხვიც არ გამოცხადდეს.
2—40—1

---

## საორგანიზაციო კომიტეტი

გურიის სავაჭრო ბანკი ქ. ლანჩხუთში

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა სექტემბრის 26, დილის 10. საათზე, ადგილობრივ თეატრის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის

**აქციონერთა**

## დამფუძნებელი კრება,

რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები:

1) გურიის სავაჭრო ბანკის გახსნა ქ. ლანჩხუთში და მიღება ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა და პასივისა.
2) ახლად დაარსებული ბანკის წლიური ხარჯთ აღრიცხვა.
3) ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევა.
4) სხვა და სხვა კითხვები.

**შენიშვ.:** თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას ... ორ ვექილობაზე მეტი ქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემათ უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

**გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ქალაქ ლანჩხუთში.**
3133. 6—3.

---

## ერობათა კავშირის

საპნის ქარხნის საწყობებში არის გასაყიდელი **კანიფოლი** ასი ფუთი. მსურველთ შეუძლიანთ შეძენის პირობები გაიგონ ქარხნის გამგესთან **ვ. ჩიქოვანთან** (კახეთის ქუჩა № 68)

1—42 1 ერობათა კავშირის კომიტეტი.

---

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ გამგეობის აგენტები, რომელთაც დავალებული აქვთ ბინების გამოკვლევა—დათვალიერება, თვითეულ კერძო შემთხვევაში, აღჭურვილი იქნებიან გამგეობის წევრის მიერ ხელმოწერილი ორდერით დასახელებული სახლის ანუ ბინის გასინჯვის შესახებ.

ქალაქის გამგეობა.

---

### საქართველოს სახაზინო რკინის გზათა

სასურსათო კომიტეტი იწვევს უფროსს და უმცროსს მოანგარიშეებს თბილისის ხაშურის, სამტრედიის, ქუთაისის და შორაპნის კოოპერატივებისათვის.
მისამართი: ელისაბედის ქ. № 200, სასურსათო კომიტეტი. 3—39—1

---

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საბუღალტერო კურსები

## თ. მ. ფილოიანისა

ორთავე სქესისთვის. (თფილისი, მიხეილის პრ. № 24, ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული 3101. 15—9 ონყოფილება.

---

### კოლოლნოვის ქუჩა სახლი № 8

**მე-დ ვერდოსთან** იყიდება საცვლები და ყოველნაირი ტანისამოსი, ჩულქები და ტრიკოები, უცხოეთიდან მიღებული. 4—3141—1

---

## სხვაგან სად! თუ არ სასადილო

## ,,ტამირში''!

(ყოფილი „ეკონომია'') შტაბის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.
ვისადილოთ ,, 2—6 ს.
ვივახშმოთ ,, 6—2 ს.

---

**საჭიროა**

## მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ ,,საქართველოს'' კანტორაში. 4—7—

---

**ფორტეპიანის კლასი**

## ია. ლ. პორტუგალოვის

მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე. 10—3130—3

---

რესტორანი

# „ბო-მონდი"

27 ენკენისთვე **კვირას** ზეიმით გაიხსნება

## კონცერტ-კაბარეთი

არტისტ ა. უბოიკას მმართველობით, საუკეთესო არტისტების მონაწილეობით და ნაირ-ნაირი პროგრამით.

რესტორანის ზალა და კაბინეტები ახლადაა შეკეთებული, რესტორანში ევროპიული და აზიური საჭმელები, სადილი 12—5 საათამდი. სადილის დროს უკრავს რუმინიის ორკესტრი ჟორჟ ბოუაკის ხელმძღვანელობით.

**საოჯახო კაბარე და კონცერტი საღამოს 9 საათიდგ ნ.**

2—3145—1 დირექცია შრომის ჯგუფის „ბო-მონდი"

---

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მთავარი-ექიმი

**ი. გ. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავად მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. **ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ქიით**

ცხვრის ხასუ..ე—მილის ავათმყოფობას ვ..ქიმობ „ნე..მანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე" (საქონლის მოვლა მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.

თვ. 43

# ანარქიაში ვიმყოფებით.

ცხოვრება აუტანელი ჰხდება. არც ერთ პატიოსან მოქამლაქეს, რომელიც ჯამაგირს შეჰყურებს, ცხოვრება არ შეუძლიან. დღეში ათასი მანეთი არ ყოფნის სამ წევრიან ოჯახსაც, ხოლო 30000 მან. ჩვენს რესპუბლიკაში აბა რომელ მოხელეს ეძლევა. იწევს პურის ფასი მიუხედავად იმისა რომ ეს უკანასკნელი ორი სამი თვე პურის მოსავლის მოკრეფის თვეები იყო. იწევს ყველის ფასი, იწევს კვერცხის, ერბოსი და კარაქის ფასი. ვერ გაეკარებით ქათამს, ძვირია საკლავები. ძვირია ხილი, ერთი სიტყვით ძვირია ყოველგვარი საჭმელ-სასმელი: სიძვირე აქ რომ გაჩერებულიყო იქნებ მოქალაქე რანაირად ამ მდგომარეობას შეეფარდებოდა მაგრამ ფასები დაუდეგარია და თან და თან მაღლა იწევს. არასდროს მოქალაქე ასე რიგად წელში გატეხილი არ ყოფილა ყოველ დღიური ლუკმის ზრუნვით, არასდროს მისი არსება ასე შეპყრობილი არ ყოფილა პურის შოვნის ფიქრებით. ათასჯერ უკეთესი იყო ჩვენი მდგომარეობა დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, ასჯერ უკეთესი შარშან, ორმოცდა ათჯერ უკეთესი ამ სამი თვის წინად. რაც დრო გადის, უფრო მეტის პროპორციის და უფრო ჩქარის ტემპით მივექანებით უარესობისაკენ რომლის დასასრულის წარმოდგენა მთელის ბუნებას ურღვევს ქვეყნის ყოველს ერთგულს ჩვენი ერობათა კავშირების, ქალაქთა კავშირების და რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა და სურსათ-სანოვაგის დამზადების გეგმა ყოვლად უვარგისი გამოდგა. ამ ორწლის მათი მოქმედება მათივე ხელით მათი გაკოტრების მოთხრობის წერაა... შედეგათ ყოველივე ამისა შეიხუთა თბილისის მოქალაქის სული. არ იცით მომავალი როდის გაწყდება და ხალხს გულიდან როდის ამოხდება ღრმა ვინვა და გოდება. ყველა გაკოტრების გზას დაადგა, ვისაც რა აბადია, ჰყიდის და ისე შოულობს ლუკმას, დღევანდელი მყიდველი ხვალ თვით ჰყიდის იმავე ნივთს, იმავე ავეჯს თუ წიგნს. თბილისის ქართველობა, რომელსაც ქალაქის სიმდიდრე და ქონება არ ჰქონია, და დღეს მარტო ჯამაგირს შესცქერის, სულს იმით იბრუნებს რომ თითქმის ყველას სოფელთან აქვს კავშირი, იქიდან ეზიდება ფქვილს, ყველს, ლობიოს, კარაქს, ქათამს კვერცხს ყოველივე იმას, რასაც მას აწვდის მისი სოფლის ოჯახი. მოუსპეთ ეს კავშირი და თბილისის ქართველობას მოესპობა არსებობის საშუალება და მაშინ ნახავთ, თუ რა ჯოჯოხეთი დატრიალდეს. თითქო შეთანხმებულან რესპუბლიკის მთავრობა და ერობები, რომ ეს კრიზისი შექმნან, რომ აალევონ თბილისი და მის ღელვაში მთელს საქართველოს გადაუძახონ. თბილისში მცხოვრებ ქართველს ვერ ჩამოუტანია თავის სოფლიდან, ვერც პური, ვერც ლობიო, ვერც სხვა ქ ნახული, თუ რძის ნაწარმოებნი. ასობით შემოდის ხალხი საჩივრით ჩვენს რედაქციაში; ფუთობით პურის წამოღებას ვინღა ჩივის, ვისთვის შვიდი პურიდან, გორის ხიდზე მილიციონერებს ხუთი პური წაურთმევიათ, ვისთვის ლობიო, ვისთვის კვერცხი და კარაქი ართმევენ სადგურზე ჩამოტანილ პურის ფქვილს 3-5 ფუთს, და რომ ეს ფქვილი სოფლის ოჯახს მაინც არ დაეკარგოს ჩამომტანნი იძულებულნი არიან ხშირად 7-10 15 ვერსტი უკან გაიარონ. პურის ჩამოტანა აკრძალულია სიღნაღ-თელავიდან. არ აძლევენ პურს სულ ბორჩალოს მაზრიდან, თუმცა იქიდან პურის წამოღება ნება-დართულია. არ აძლევენ ორ ვაგონი ნაყიდი კარტოფილს ახალციხის მაზრიდან თბილისში ჩამოტანის უფლებას კოოპერატივს, თუმცა თბილისში კარტოფილის შოვნა არ არის. ნამდვილი ქრისტეს ტირილია ყველგან; ნამდვილი ჯოჯოხეთი.

ვინ არის მიზეზი? როცა სოფლიდან სასურსათო საგნების წამოღებას მედავება თემი, მისი მილიციონერი, და მნაშავეა მომარაგების სამინისტრო; როცა თბილისში ჩამოსვლ დახ მინისტრის მიმართ დამნაშავეა ადგილობრივი თვითმართველობა. და როცა ათასში ერთხელ დიდი ვაი უბედურობის შემდეგ, მომარაგების სამინისტროდან ჩამოტანის ნებართვას აიღებ და იმედიანათ სოფელში გაემგზავრები, ამ შენს მოწმობას ყოველი ძალა ეკარგება და ხელცარიელი წამოხვალ, დიდი ხარჯისა და შრომის უნაყოფოდ დაკარგვის შემდეგ. რომ რამე წამოიღო ქრთამი უნდა მისცე, თანაც მრავალი დამცირება გამოიარო. და რომ ოჯახი სიმშილს გადაარჩინოს, მოქალაქე აბეზარ მოხელის გაწვდილ ხელს შიგ ჩაუკუჩებს იმ ქაღალდს, რომელსაც ფულს ეძახიან და რომელსაც არავითარი ფასი არ აქვს. მოქალაქე ხედავს რომ გამკითხავი არავინაა, ხედავს რომ შეიძლება იგი ათჯერ ხელცარიელი დაბრუნდეს, ასჯერ სამინისტროდგან ნებართვაც რომ ჩაიტანოს.

მინისტრის მოწმობას მთავრობის დადგენილებას ძალა და გასავალი არ აქვს, თემს თავისი პოლიტიკა აქვს და მთავრობას არ ემორჩილება. მთავრობა კიდევ ულონოა დაიცვას თვისი განკარგულება და ადგილ ბრივი თვითმართველობის ძალმომრეობას ემორჩილება. აი მიზეზი სად არის, აი სად არის ანარქია! თვითონ მთავრობა უძლური გამოდგა სანოვაგის მომარაგების საქმეში. ხალხი უფრო და უფრო იმშევა. მოთმინება ეკარგება. უკმაყოფილება იზრდება და ანარქია გვიახლოვდება.

# მილიერანი.

რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი. მილიერანი დაიბადა პარიზში 1859 წ. თებერვლის 10. ერთ მის ბიოგრაფის სიტყვით ის პარიზელია დიდი თავიანი და ფართო ბეჭებით. წელთა სვლის მისი ძალა არ შეუსუსტებია. ნამეტურ სახელი გაითქვა მან უკანასკნელ თვეებში და შექმნა ევროპის დიდ სახელმწიფო კაცათ. ახალ პრეზიდენტს ყავს მეუღლე და ოთხი შვილი. მისი უფროსი ვაჟი მალე გახდება მამის თანამშრომელი. მილიერანი დიდი ნიჭით აღჭურვილი ადრე გამოვიდა პოლიტიკურ მოღვაწეობის ასპარეზზე და პარლამენტში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. მისმა ორგანიზატორულმა ტალანტმა ის მთავრობის მეთაურით გახადა 1884 წელს ის ქალაქ პარიზის მუნიციპალურ მრჩევლად აირჩიეს 1885 წ. დეკემბერში პარლამენტში პარიზის მცხოვრებთაგან დეპუტატათ არჩევის გამო მან ის ადგილი დასტოვა. ამ წლიდან მას ყოველთვის ირჩევდნენ დეპუტატათ და ის დემოკრატიულ ელემენტები პარლამენტსა და პრესაში ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა. თანამშრომლობდა კლემანსოს გაზეთში. შემდეგ დაარსა გაზეთი „ლავუა“ და რედაქციას სათავეში ჩაუდგა. 1892 წლიდან მას ამ საქმეში გობდე შეენაცვლა ამ დროს ამ გაზეთის თანამშრომელი იყო ვივიანი, 1896 წელს მან წარმოსთქვა სიტყვა, რომლით (გაითქვა სახელი და, რომელიც მოწინავე პარტიებს ძლიერ მოეწონათ. მალე მან ეს გაზეთი დატოვა და გადავიდა „ლანტერში“ სადაც მას თან გადაჰყვა ბრიანი და ვივიანი. ის მთავრობის სოციალისტთა ორგანო იყო. 1899 წელს ვალდეკ რუსომ ის შრომის მინისტრათ მოიწვია. ის იყო პირველი სოციალისტ მინისტრი, მთავრობაში შესული. მისი ენერგიულ მუშაობით მოწონებულ იქმნა სოციალური რეფორმები და საგრძნობლათ გაუმჯობესებული მუშათა მდგომარეობა. მან გამოსცა ქარხნებში 10 საათის სამუშაო დღის კანონი 1912 წელს პუანკარემ მილიერანს სამხედრო მინისტრის პორტფელი ჩააბარა 1917 წელს, მთავარ სარდლად დაინიშნა ჟოფრი. შემდეგ ის მუშაობდა ეროვნულ თავდაცვის საქმეებზე, ომის გამოცხადების პირველ დღეებში ის დაინიშნა სამხედრო სამინისტროს სასურსათო კომისიის თავმჯდომარეთ. აგვისტოს 25 მან იკისრა სამხედრო მინისტრობა. მტერი ამ დროს პარიზს ერთი კვირის საველი გზით იყო დაცილებული. მილიერანმა სამხედრო საქმეში მეთოდიური წესი შეიტანა, მან ბევრი იმუშავა ამ ასპარეზზე.

# დეპეშები.

## ფრანგული პრესა

**მილიერანის არჩევა პრეზიდენტად.**

ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე სექტემბრის 22 კენჭი უყარეს პრეზიდენტის კანდიდატურას. მილიერანმა მიიღო 528 ხმა, რაულ პერემ 156 და ლ. ბურჟუამ 113. ამგვარათ ვერსალის კონგრესზე წამოყენებულ იქმნება მილიერანის კანდიდატურა. ლეონ ბურჟუა კატეგორიულ უარს აცხადებს თავის კანდიდატურის წამოყენებაზე. ჩემი სურვილია ვემსახურო ერთა ლიგას, რომლის პრეზიდენტათაც ვითვლებით.

**კლემანსოს მოგზაურობა.**

კლემანსო ინდოეთში წავიდა.

**ზემო სილეზია.**

ელჩთა კონფერენციამ, რომელიც სამშაბათს შეიკრიბა მოისმინა გენერალ ლერონის მოხსენება ზემო სილეზიის ამბების შესახებ.

**ლიტვა და პოლონეთი.**

ვარშავიდან მოსული ცნობით პოლონეთისა და ლიტვის შორის მოლაპარაკება შეწყდა. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარე ვარშავას დაბრუნდა, ლიტველები თხოულობენ პოლონეთის ჯარის სადემორკაციო ხაზამდი დახევას, და შერეული მართვა გამგეობის დაწესებას ნეიტრალური ზონაში.

**პოლონელებმა როვნო აიღეს.**

პოლონეთის ცნობებით პოლონელებს როვნო და პრუჟანი აუღიათ.

**ვრანგელის გამარჯვება.**

თანახმად ბრიუსელიდან ლონდონში მოსული ცნობისა, რომ ვრანგელს დიდად გაუმარჯვია და დაუჭერია დამახინჯებულია.

## გერმანული ცნობები.

**ბერნშტეინის განცხადება.**

სოციალისტთა უმრავლესობის კომიტეტის კრებაზე ბერნშტეინმა მოხსენება გააკეთა ჟენევის კონგრესის შესახებ და განაცხადა: ჟენევაში ოთხჯერ მეტი მუშები იყო წარმოდგენილი ვიდრე მოსკოვში. ბერნშტეინმა გაერთიანებისაკენ მოუწოდა სოციალისტურ პარტიებს რომელთა უთანხმოება არა მარტო გერმანიისათვის არამედ მთელი ევროპისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენსო. კომიტეტმა გადაწყვიტა დაიცვას უარყოფითი დამოკიდებულება კომუნისტთა მანიფესტაციებისადმი.

**გაზეთის აკრძალვა.**

რეინის კომისიამ აკრძალა გაზეთის „ფრანკფურტ ცაიტუნგის“ გაყიდვა მოკავშირეთა მიერ დაკავებულ ოლქებში

მუშას 3 ქემინსკის, რომელმაც ბერლინში ივლისის 17 საფრანგეთის დროშა ჩამოხსნა 500 მარკა ჯარიმა შეუსაჯეს.

**მთავრობის კრიზისი.**

კაბინეტის კრიზისი დასრულდა, ვინაიდან ფინანსთა მინისტრი ვერტი კაბინეტში ისევ დარჩა. გაზეთები კვლავ ეხებიან კრიზისის მიზეზებს და კაბინეტის რეკონსტრუქცია მახლობელ დროში შესაძლებლად მიაჩნიათ.

## ლიონის ცნობები.

**კონგრესი ვერსალში.**

ორივე პალატის შეერთებულ სხდომაზე 528 ხმის უმრავლესობით რესპუბლიკის პრეზიდენტის ერთად ერთი კანდიტატათ მილიერანი აირჩიეს ვერსალის კონგრესის შემდეგი სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს

**ბრიუსელის კონფერენცია.**

ბრიუსელში კონფერენცია ხუთშაბათს გაიხსნა და 15 დღეს გასტანს.

**პოლონელების იერიშები.**

ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონელები განაგრძობენ ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლასო.

**ბუდიონის დაჭრა.**

როგორც ამბობენ გენერალი ბუდიონი მძიმეთ არის დაჭრილი.

## საინფორმაციო განყოფილების ცნობები

**პილსუდსკი და [illegible]**

ვარშავა სექტემბრის 16. მარშ პილსუდსკიმ გენერალ ვერგანდს სამხ დრო დიდების ორდერი უბოძა ეს ორ დერი მე 18 საუკუნის მეორე ნახევრ დან არის შემოღებული.

**ბოლშევიკების დანაკლისი.**

ოფიციალური ცნობით წითელ ა მიელთა დანაკლისი 187,000 კაცს უ რის ვარშავასთან ბოლშევიკებს ტყვ წაართვეს 107000 კაცი, მოუკლეს დაუჭრეს 50,000 და 50,000 კაცი გერმანიაში გადავიდა.

**პოლონელები ზემო სილეზიში.**

ვარშავაში მოსული ცნობით პოლო ნელებმა ზემო სილეზიაში მრავალი ა გილი დაიკავეს. გერმანელ დარაჯ განიარაღება დაიწყო.

**ლტოლვილი წითელ არმიელები.**

წითელ არმიელთა რაზმები, რომე საც პოლონელები მიერეკებოდა გა ვიდენ გერმანიის საზღვრებზე იმ დით, რომ საბჭოთა რუსეთის ჩრ ლოეთის ჯარს შეერთებოდა, მაგრ მოკავშირეთა საკანტროლო კომის ხელი შეუშალა და ისინი დააკავა.

**წითელარმიელები პრუსიაში.**

ლონდონი სექტემბრის 16 „ტა სის“ ცნობით აღმოსავლეთ პრუსია განიარაღებული ბოლშევიკები მე უმწყო მდგომარეობაში იმყოფებ მათი ცნობით ბოლშევიკებმა ჯარ მკაცრი რეჟიმი დაამყარეს, მცირე ნაშაულობისათვის ჯარისკაცთ ხვრე აცვიათ დახეული ტანისამოსი ა მრავალი ნაცარცვი ნივთები, ძვირ სეულობა, საათები, ფული და ბოლ ვიკების ოფიცრები სრულიად და დებლად სცარცვავდნენ პოლონელ მამულეებს. განიარაღებული პოლ ლები სპარსეთში გაგზავნეს. გერმ ლები წითელ არმიელებისაგან ყი ლობენ ცხენებს. ბოლშევიკებს 200 ცხენი ყავთ. არის უტყუარი ცნობ რომ 40 ათასი ბოლშევიკი პოლონ ტყვეებსა და აღმოსავლეთ პრუსიაში ლებათ. ისინი მოხერხებულ შემთხ უცდიან პროსტკენთან სადგურზე გა სვლისათვის. იმავე გაზეთის კორეს დენტის ცნობით რუს ბოლშევიკებ გერმანიის საზღვარზე გადმოსვლ დროს გერმანელ ბოლშევიკ მჭიდრო კავშირი ქონიათ.

**უელსის გამგზავრება რუსეთში.**

ლონდონი. 6 სექტ. ცნობილმა

# ისევ ვალუტა.

ვალუტის საკითხი ისევე თავსამტვრევი და მოუგვარებელი დარჩა, როგორიც იყო იმ თავიდგანვე. გაუჯობესების წილ იგი თანდათან უარესდება და დღითი დღე ჰკარგავს თავის ყიდვითი ძალას. ფინანსთა სამინისტრო თათბირებს ახდენს გამოცდილ პირთაგან, მთავრობა ღებულობს ადმინისტრატიულ რეპრესიულ ზომებს კურსის დაცვისათვის და აღწევს აქაც იმავ შედეგებს, რა შედეგიც მოიტანა რეპრესიებმა საქონლის ტრიალში და მტკიცე ფასების დაწესებამ სანოვაგის გაძვირებაში.*) საჭირო უთუოდ მტკიცე და მკაცრი ზომებით საქმეში ჩარევა, მაგრამ მარტო „სპეკულიანტთან“ ბრძოლა—ბრძოლაა ქარის წისქვილებთან. მართლაც და რაზეა აშენებული ჩვენი ბონების გამოცემა? ფინანსიური თვალსაზრისით და მეცნიერულად რომ საკითხს შევხედოთ, ცხადია, რესპუბლიკას ბონები უზრუნველ ყოფილი არა აქვს მოძრავ ღირებულებით (ფლიუსიგე მიტტელნ), ესე იგი არა გაქვს ოქრო, რომელიც შეიძლებოდეს ყოველს მიჩნეულ წუთში ერის მეურნეობაში დაატრიალოთ. ჩვენი ბონების უზრუნველმყოფელია ჩვენი ნაკლებად მოძრავი, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული საქონელი, რომელიც შეადგენს ერის დოვლათს. ნუ მივიღებთ სახეში სრულიად დაუმუშავებელს. ანგარიში გავუწიოთ მხოლოდ ნახევრად დამუშავებულს ნედლ მასალას: მარგანეცი, (კოჰპოლდენი ლითონი), ხე-ტყე, მატყლი, თამბაქო, ჯაგარი, მაგარი სასმელები, ბოსტნეულობა და ხილეულობა და სხ. ე. ი. ყველაფერი რისი გატანაც მეტ-ნაკლებობით შეუძლიან საქართველოს. აი, ეს გახლავთ ნამდვილი ბონების უზრუნველ მყოფი ღირებულება. რაც შეეხება თეთრ ნახშირს, ტყვარჩელის ქვა-ნახშირს და იმ განძეულობას, რომელიც დღეს კიდევ მიწაშია და რომლის არსებობა ან სულ არ ვიცით ან და საეჭვოა—ეს დიდი განძია მომავლისათვის და აქტუალური მნიშვნელობა სრულიად არა აქვს ბონების უზრუნველყოფის საქმეში. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მას, რაც სახელმწიფოს ეხლა ან საბოლოოდ, მოსახმარად დამზადებული აქვს ან და დასამზადებლად მაინც მზად აქვს ხელთ, რომ მხოლოდ ოქროს ვალიუტისათვის არავითარი ხანგრძლივი და გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ეს დამტკიცა, ინგლისის მაგალითმა 1920 წ. მარტ აპრილში, როდესაც ინგლისის მთავრობამ კურს დაცემულ სტერლინგის გამოსაბრუნებლათ ამერიკაში რამოდენიმე გზობა ოქრო წაიღო. ორი კვირით სტერლინგმა 85—90 ცენტით აიწია დოლარებთან შედარებით. შემდეგ ისევ ძირს დაეშვა. მიზეზი გახლდათ უმთავრესად ის, რომ ინგლისი მეტ საქონელს ეზიდებოდა ამერიკიდან, ვიდრე მას თვითონ შეჰქონდა ამერიკაში და ამ პასიობმა იმოქმედა სტერლინგზე. ინგლისელები შეეცადნენ შემდეგ შეეზღუდათ ამერიკის საქონლის შემოზიდვა. შედეგიც უკეთესი მოჰყვა. ჩვენი მდგომარეობა კიდევ უარესია, რადგან ჩვენ ოქრო სრულიად არ გვაბადია, სავაჭრო ბალანსი კი უთომოდ პასიურია:

1919 წელს ჩვენ შემოვზიდეთ სულ 863.046.856 მანეთის და გავზიდეთ სულ 469.123 795 მანეთის ღირებულება. როგორც ფინანსთა სამინისტროს მოხსენებიდან სჩანს, ჩვენ ორი თვის იანვრის და თებერვლის 1920 წ. განმავლობაში შემოგვიზიდნია 149.280.814 მანეთის და გაგვიზიდავს 12.158.000 მან. ღირებულება ე. ი. მთელი 137 122,814 მანეთით მეტი შემოგვიზიდავს ვიდრე გაგვიზიდნია. აი, ამდენით დავვალიანებულვართ უცხოეთთან ორი თვის განმავლობაში. ეხლა მივიღოთ მხედველობაში, რომ გატანილი საქონელი ნაწილი გახლდათ ბონების უზრუნველმყოფ სახელმწიფო ქონებისა, რომელიც გატანილის რაოდენობით უნდა შემცირდეს ყოველ ახალ ექსპორტის შემდეგ. მაგრამ მივიღოთ ერთი წუთით, რომ ყოველ ექსპორტის შემდეგ ჩვენი სახალხო მეურნეობა მუდამ ასწორებს გატანილის სანაცვლოს ახლად წარმოებით და ნაწარმოებთა დანაკლისის დაუყონებლივ შევსებას. ეს პირველი მიმდინარეობა. მეორედ მივიღოთ რომ ექსპორტ-იმპორტის ძალა ქვეყნისა ერთი მეორეს უდრის, ერთი მეორეს ჰფარავს ე. ი. სავაჭრო ბალანსი, როგორც იტყვიან, სწორია. ჩვენ მაშინ უცხოეთთან დავალიანებული არ ვიქნებით ერთი და გამოშვებულ ბონების უზრუნველმყოფი საქონელი და დოვლათი საკმარისი გვექნება შინ, მეორე ბონების კურსის დაცემას ადგილი აღარ ექნება, რადგან: 1) უცხოეთი სრულიად დაკმაყოფილებულია და 2) შინ ბაზარზე ბონების ეკვივალენტი—საქონელი საკმარისია. ბონების კურსი მხოლოდ მით იქნება უცხო, ისეც ინგლისურ შვედურ და სხ. მტკიცე ვალიუტასთან დაჩრდილული, რომ მას არ ეხერხება იოლად მაღალღირებულებათ ქცევა. ვალიუტის საკითხი რესპუბლიკისათვის თითქმის არ იქნებოდა.

ეხლა ავიღოთ, რომ რესპუბლიკას სულ 2.500 მილიონი ბონი აქვს გამოცემული. ამავე დროს უცხოეთში გატანილი აქვს 10 მილიარდის ღირებულება და უცხოეთიდან სრულიად არაფერი სჭირდება შემოსატანად. ყოველი ფინანსისტი დაასკვნის, რომ თუ სახელმწიფოს არავითარი სხვა ვალი არა აქვს, ჩვენი ბონის კურსი გაცილებით უფრო მაღალი იქნება, ვიდრე პირველს მაგალითში იყო ე. ი. ვიდრე ალპარი (თუ პოლიტიკური და სხ. სოციალური პირობები ნორმალური დარჩა). პირიქით, ავიღოთ, რომ რესპუბლიკას გამოცემული აქვს 2.500 მილიონი ბონი და სავაჭრო ბალანსის პასივობა უდრის 10 მილიარდს ე. ი. იმდენად დავალიანებული ვართ უცხოეთთან, რასაკვირველია, შედეგი იქნება, რომ ბონის ფასი ოთხჯერ ნაკლები იქნება (თუ არა მეტი; პანიკა პოლიტიკური ატმოსფერა და სხ.) ვიდრე პირველს მაგალითში იყო. ბონის კურსი მით უფრო გაუარესდება, რაც უფრო დიდხანს გასტანს ეგ დავალიანება და ვალს დაუფარავობა, რადგან სახელმწიფოს დოვლათი ვიგულისხმეთ ბონების დასაფარავად საკმარისი, მაგრამ ვალის ერთბაშ-გადასახდელად კი არ იკმარებს... საჭიროა ჩვენ ან ერთბაშად დავამზადოთ ოთხჯერ მეტი ნაწარმოები საექსპორტოთ ვალის დასაფარავად, ან და ბონების უზრუნველმყოფი საქონლის ფონდი შევსწიროთ ვალის გასტუმრებას. პირველ შემთხვევაში ბონის კურსი დაუბრუნდება ალპარის მდგომარეობას, მეორე შემთხვევაში კი ბონები ფონდგამოცლილი, უბრალო ქაღალდათ რჩება—ყოველი ფასი ეკარგება და სახელმწიფოს კიდევ რჩება სამი მეოთხედი უცხოეთის ვალისა.

აქედან დასკვნაა: თუ რესპუბლიკა ბონების ნაკლებ თანხას გამოსცემს ვიდრე სავაჭრო ბალანსის სისწორისას სახელმწიფო დოვლათის ნაწილი უცხოეთში გასაზიდი საქონლის ღირებულება მარაგათა აქვს სახალხო მეურნეობას, მით უფრო ბონების კურსი მტკიცე და ახლოა (ალპარისთან). თუ რესპუბლიკას აქტიური სავაჭრო ბალანსა აქვს ბონების კურსი, მით უფრო მაღალია, რაც უფრო მეტად აქტიურია ეგ ბალანსი. თუ რესპუბლიკას პასიური ბალანსი აქვს ბონის კურსი, მით უფრო დაცემულია რაც უფრო პასიურია ეგ ბალანსი.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ბონების მეტ-ნაკლებობით გამოშვება უნდა შეფარდებულ იქნეს რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ვითარებასთან.

ფინანსთა სამინისტრომ თავიდან უნდა მოიცილოს ილიუზია, რომ ეს სრულიად დაუმუშავებელ და უცნობი პრაქტიკულად საქონელი თეთრი ნახშირი, ტყვარჩელის ქვანახშირი და სხ. ბონების უზრუნველ საყოფად ვარგოდეს. ესენი საუკეთესო იქნებოდა ხაზინისა და ვალუტისათვის, რომ მათ ეხლა, სინამდვილეში რაიმე სარგებლობა მოჰქონდეს სახალხო მეურნეობისათვის. მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა მხოლოდ მომავლისათვის.

ბონების უზრუნველმყოფელია მხოლოდ ის ნაწილი სახალხო მეურნეობის ნაწარმოებისა, რომელიც, გარეშე ხალხის ცხოვრებითი მოთხოვნათა დაკმაყოფილებისა, რაიმე საექსპორტო ღირებულებას წარმოადგენს.

ბონების კურსის გასაუმჯობესებლად, ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაუპირის-პიროს რესპუბლიკის ექსპორტის ძალა გამოშვებულ ბონების რაოდენობას, და ექსპორტის გაძლიერებით და ბონების გამოშვების შემცირებით უნდა შეეცადოს წამხდარ საქმის გამოსწორებას.

ელექტრონის მთავარი ფოლაქი აქ გახლავთ ექსპორტის გადიდება, რაც ჰგულისხმობს რესპუბლიკის წარმოების განვითარებას და გაძლიერებას.

შესაძლებელია თუ არა აწ წარმოებულ ეკონომიურ და საექსპორტო პოლიტიკით ბონების კურსის ნამდვილად გამოსწორება.

ჩვენი ქვეყანა—იმპორტის ქვეყანაა. აქ ბონების უზრუნველ მყოფი თავის დღეში ვერ იქნება მხოლოდ ოქრო (ეს არც სხვაგანაა) უკანასკნელი ყოველთვის გადასცურდება უცხოეთში რა ვინდ ბლომად გქონდესთ ხაზინაში დაგროვილი. ვთქვათ, ჩვენ გვაქვს 10 მილიარდის ოქრო და სავაჭრო ბალანსი პასიურია წლიურათ ნახ. მილიარდის დავალიანებით. ოქროს ფონდი 20—25 წლის განმავლობაში ხელიდან გაგვიცურდება.

საღი ფინანსიური პოლიტიკა კი იქითკენაა მიმართული, რომ შინ რაც ბევრი ოქრო გქონდეს, მაინც მეტი განძეულობა შემოიკრიბო უცხოეთიდან. ამით გამდიდრდა თავის დროზე საფრანგეთი, ინგლისი ამერიკა და ეხლა შვეცია ნორვეგია. ეს პროცესი ჰხდება მეტის გაზიდვით და ნაკლების შემოზიდვით. ჩვენ რომ ოქროებით სკივრები გვეღეწებოდეს ამ გზას ვერ ავცდებოდით, თუ სწორსა და საღ პოლიტიკას არ ვუღალატებდით. მაშასადამე, გაქვთ თუ არა ოქრო, სულ ერთია არსებითად, თქვენ უნდა მთელი ენერგია და ყურადღება შეაჯგუფოთ საგარეო ვაჭრობის გააქტივებაზე. მით უმეტეს ეს ორმაგათ საჭიროა ეს, როდესაც ბონების უზრუნველ საყოფათ თქვენ მხოლოთ ექსპორტის რაოდენობაღა დაგრჩენიათ. როგორია ეს ექსპორტი ჩვენში, რა დღიდანაა ის დამოკიდებული და რა პირი უჩანს მას მომავლისათვის?

უმთავრესი საექსპორტო საქონელია: თამბაქო, მატყლი, შავი ქვა, დაფნა, თხილი, ბოსტნეულობა და ხილეულობა, აბრეშუმი.

თამბაქო გაიტანა მომარაგების სამინისტრომ დაახლოვებით 80—100 ათასი ფუთი, ზოგი საკუთარის, ზოგი კერძო პირთა თაოსნობით. გატანილი საქონელი ისეთ უვიც და უმეცარ ხელში მოხვდა, ისეთ ცუდ პირობებში, რომ თამბაქოს ერთი ნაწილი ძლიერ დაბალ ფასებში გასაღდა, მეორე ნაწილი გაუსალებელ ჰყრია. გატანის გაძნელე გამო და შინაურ ბაზრის შემცირებ მოთხოვნილების მიზეზით თამბ მოსავალი ძლიერ შემცირდება შემ ში; იგი წინანდელის 1 მეათედიც არ იქნება. ცნობები ქიზიყისა, გუ ისა და აფხაზეთის შესახებ ამას ერ მეორეზე ადასტურებენ.

მომარაგების სამინისტრომ ვერ ანაღდა მოსაგებ პირობებში წინად მზადებულ საქონელი. ექსპორტის გ ნელებამ შეამცირა ძალზე თვით თამ ქოს წარმოება. ამით შემცირდა ბო ბის უზრუნველ მყოფი ფონდის ერ მნიშვნელოვანი ნაწილი. მატყ მდგომარეობა ძალიან წააგავს თამ ბაქოისას. არა იმდენად მონოპოლი რამდენათაც მონოპოლიის წესებს, რარულ საკითხის დროზე მოუგვარ ლობას და ექსპორტის გართულ ცხვრის ფარის რიცხვი შეუმცირდ ის წლიური მოსავალი მატყლის 200—250 ათასი ფუთი, რომელიც ნად გვქონდა, უახლოეს წლებში მი დომელია ჩვენთვის, თუ განსაკუთ ბული ზომები არ იქნება მიღებული.

აბრეშუმი მომარაგების სამინისტ ბლომად გაიტანა, მაგრამ მარსელ და ლიონის ბაზარზე სასურველ ვერ გაასაღა. ექსპორტის გაძნელ გამო, ძალიან საეჭვოა, რომ რესპ ლიკას შემდეგ სეზონში ჩვეულებ რაოდენობა აბრეშუმის მოსავალი მ ვიდეს—100—120 ათასი ფუთი ნედ პარკი. საყოველთაოთ მწარმოებ დამფრთხალია მონოპოლიის წესებ გაუცნობლობისა და ექსპორტის ლად უმიზნოთ გ ძნელების გამო. კეთეს შემთხვევაში პარკის მოსავა იმის ნახევარს ძლივს მოგვცემს, რა ნორმალ წლებში იძლეოდა.

შავი ქვა ბლომად გავიდა. სამოც ლიონი ფუთი ადვილათ გავა რესპუბ კის საზღვრებს გარეთ, მოკიდებუ „ჩემო“ს დარსებიდან და გათავებ დრომდე, როდესაც ეხლა დამზადებ შავი ქვის უკანასკნელი ფუთი მიაღ ნავთსაყუდარს. მაგრამ შავი ქვის ა რაოდენობის დამუშავება და გატ ლის შევსება ახალის წარმოებით ლის შრომითა და გარჯით არ ხდ გატანილი შავი ქვის გასაღდებით,

---

*) ადმინისტრატიული ზომების მიღება არ ნიშნავს ფინანსიურ პოლიტიკის წარმოებას.

მანისტმა უელსმა გადასწყვიტა გაემგზავროს რუსეთში იმ მიზნით, რომ პირადათ გაეცნოს რუსეთის ცხოვრებას.

**სოციალისტი დელეგატები სფორცთან.**

**რომი.** 8 სექტ. სფორცამ მიიღო სოც. დელეგატები მორგანი, ლაზარი და სხვა, რომლებიც იტალიის მთავრობის რუსეთთან დამოკიდებულებით არიან დაინტერესებულნი. გაზეთი „ეპოკა" იუწყება: სფორცამ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა წინანდებურათ სიმპატიით ეპყრობა რუსეთს და რომ მოსკოვის კომერციულ აგენტს იტალიის მთავრობა სიხარულით შეხვდაო.

**იტალიის წარმომადგენელნი ერთა ლიგაში.**

შედის დეკრეტით ტიტონი, ნიკოლა და ბონომი დანიშნულ იქნენ იტალიის წარმომადგენლებათ ერთა ლიგაში.

**ინგლისი და რუსეთი.**

**სევასტოპოლი.** 16 სექტ. „დეილი მეილი" სწერს: ვიდრე მოსკოვის მთავრობა არ მოგვცემს დაჯებით განმარტებას შინაური ცხოვრებასა და მოსკოვის მთავრობის პოლიტიკაზე, კომერციული მოლაპარაკებანი ინგლისთან არ განახლდებაო. ინგლისის პოლიტიკური წრეებში თანახმა არიან დაიწყოს რუსეთთან ნეიტრალური სავაჭრო დამოკიდებულება გაცვლა-გამოცვლის სახით თუ კი რუსეთში მართლა არის ნედლი საქონელი, რაც დიდათ საეჭვოაო.

**რუსეთი და ფინლანდია.**

**პარიზი.** 14 სექტ. „ლე ტანი" იუწყება, [illegible]

**ერთა ლიგის მორიგი სხდომა.**

**პარიზი** 16 სექტ. [illegible] ტაში, 50 სახელმწიფოს წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

**ლონდონი** 19 სექტ. ხალხთა ლიგასთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ წარადგინა თავისი აზრი ალანდიის კუნძულების შესახებ. იურიდიულ კომისიას ეს საკითხი საერთაშორისო საკითხათ მიაჩნია და ამიტომ ხალხთა ლიგის აუცილებელ კომპეტენციას საჭიროებსო. იურიდიულმა კომისიამ შეისწავლა და ფინეთის დელეგაციის აზრი და განცხადება ალანდიის მცხოვრებთა დეპუტაციისა მოისმინა.

**რუმინეთი და ბრიტანეთი.**

სექტემბრის დამლევს რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ბრიტანეთის მთავრობის შორის მოლაპარაკება დაიწყო შემდეგი საკითხების შესახებ. ინგლისის მონაწილეობა რუმინეთის ნავთის კონცესიებში 2. გერმანიის კონტრიბუციაში რუმინეთის წილი. 3. შავი ზღვისა და დუნაის რუმინეთის ფლოტის რეორგანიზაცია ბრიტანეთის ექსპერტების მონაწილეობით.

**ანატოლია.**

მოკლე დროში განიხილავენ საკითხს დასავლეთ ანატოლიაში ინგლის საბერძნეთის ძალების დასახმარებლად რუმინეთის ჯარის გაგზავნის შესახებ.

**ბალკანეთის ფედერაცია.**

ლონდონში ესდგება აგრეთვე თათბირი ბალკანეთის ფედერაციის დაარსების შესახებ, რომლის პროექტი ხალხთა ლიგაში იქნება შეტანილი.

**კონსტანტინოპოლი 20—9.** კონსტანტინოპოლში დაარსდა საგანგებო სამხედრო კომისია საზავო ხელშეკრულების სამხედრო პირობების ასასრულებლად.

**დამნაშავეთა დასჯის წესი.**

მინისტრთა საბჭომ დაადგინა: [illegible]

## კომუნისტების შეთქმულება აფხაზეთში.

**კომუნისტები აფხაზეთში.** იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს გადასცა გამოსაქვეყნებლად შემდეგი საბუთები: იუსტიციის სამინისტროს აქვს იმის უტყუარი ცნობები, რომ სოხუმის ოლქში კომუნისტებმა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგაც განაგრძობენ არა ლეგალურ მოქმედებას, რასაც ადასტურებს: უდავო საბუთები, ოქმები, თვით კომუნისტთა ჩვენებანი და ექსპერტიზა. სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ, სათანადო მთავრობა ღებულობს ცნობებს, რომ კომუნისტები საქართველოს წყობილების წინააღმდეგ მოღვაწეობას განაგრძობენო. ჩუმი თვალყურის დევნებით გამოირკვა, რომ ისინი მართავდენ თათბირებს, სადაც სხვათა შორის მონაწილეობდნენ კუხალეიშვილი, ბიგრიანოვი, კონსტანტინე მაკაროვი, ნიკოლოზ სვანიძე და სხვები. იყო იმის ცნობებიც რომ, კომუნისტები იძენდნენ იარაღს. სოხუმის საოლქ. კომ. კომიტეტის წევრის კუხალეიშვილის გაჩხრეკის დროს საქათმეში უნახავს: 2 ხელით სასროლი ყუმბარა, 7 დინამიტიანი პატრონა წონით ერთი მეოთხედი გირვ., კოლტის რევოლვერი, ვინტოვკა პატრონებით და სხვა იარაღები. ექსპერტების აზრით პიროქსილინი დინამიტი და ბიკფორდები ბოლშევიკებს ასაფეთქებლად სჭირდებოდათ. ამას გარდა, უნახავს კარპინსკის წიგნაკი, ოს ალურ და სომხურ ენაზე. „რას წარმოადგენს საბჭოთა მთავრობა და როგორ ეწყობა ის დაიბეჭდა სოხ. ბოლშ. საოლქ. კომიტეტის სხვა წევრები, სვანიძე და ბიგრიანოვი; მაკაროვს დაპატიმრების დროს უნახეს იმის უტყუარი საბუთი, რომ იგი სოხ. საოლქ. კომ. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა და მას დავალებებს ასრულებდა. ამასთანავე მას სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ გამოცემული ცირკულარის ასლი უნახეს. ასლში ცირკულიარის შესავალს ხელს აწერს მდივანი გეგელი (განს ლემბერგი) ცირკულიარი ექვსი მუხლისაგან შესდგება: 1. რუსეთის კომ. პარტიის სოხუმის საოლქო ორგანიზაციის წევრთათვის ცხადდება მობილიზაცია და ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო ინსტრუქციის მისაღებათ. კომუნისტთა ბოროტმოქმედებას განსაკუთრებით გაგრის ოლქში ჰქონდა ადგილი თვით კომუნისტთა ჩვენებები იმას მოწმობენ, რომ სამ. კომიტეტებს მიზნათ ჰქონდათ თანამგრძნობთა შეკავშირება; რევკ. კომიტეტების მიზანი კი იყო აჯანყების მოწყობა და დამცემ ჯგუფთა შედგენა. ამ ორგანიზაციების სათავეში ნიკოლოზ კოლკევი იდგა- მას კავშირი ჰქონდა სოხ. სოლქ. კომ. კომიტეტთან და უცხოეთის საბჭოთა მთავრობასთან. ჯიბლაძის და სურგულაძეს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ისეთი საბუთები, რომლითაც მათი ჯაშუშობა მტკიცდება. სახელდობრ: 6 ხუთვერსიანი სამხედრო რუკა გაგრის ფრონტისა, სოხუმის ოლქისა და მის მახლობელ რაიონებისა.

გაგრის ფრონტის ის ადგილები, სადაც ჩვენი ჯარი იდგა რუკაზე ქიმიური ფანქარით იყო აღნიშნული. სამხედრო ექსპერტიზის აზრით ასეთი საბუთი მათი აშკარა ჯაშუშობის დამამტკიცებელია, ვინაიდან რუკაზე აღნიშნული იყო გაგრის ფრონტის ყველა სიმაგრის ხაზები. აგრეთვე შეპყრობილ სურგულაძესა და ჯიბლაძეს ჯაშუშობის დასამტკიცებელი სხვა ქაღალდებიც უნახეს. ამ ქაღალდებში აღნიშნული იყო სადარაჯოები, სადარაჯოებზე მდგომ ჯარის რაოდენობა და სხვა. გამოძიებისა და ჩხრეკის შემდეგ აფხაზეთში დააპატიმრეს ვასილ აგირბა, რომელსაც მრავალი საბუთები უნახეს. საბუთებიდან ჩანს, რომ აფხაზეთში უნდა მოეწყოთ საბჭოთა რუსეთის სასარგებლო აჯანყება. აღმოაჩინეს სია 14 მომართ რაზმისა, რიცხვით 560 კაცი, გუდაუთის მაზრაში გვარი და სახელი იმ პირთა, რომელ. უნდა მოეწყოთ რაზმების შესად. და აგრეთ. 8 კომუნისტურ სოფლის კომიტეტების სია. ყველაზე უფრო საყურადღებო საბუთათ, რომელიც აღმოაჩნდა აგირბას, უნდა ჩაითვალოს გაგრის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის ვოლკოვის წერილი, სადაც ის წერს" ამხ. აგირბა, ძალიან ვწუხვარ, რომ უშეოეგოთ დაჰკარგეთ [illegible] დრო. სასურველია ვიცოდეთ, თუ რამდენი [illegible] ჰყავს გუდაუთის უეზდკომს. აუცილებელია გამოირკვეული იქნას მხოლოდ სამხედრო ძალებს რამდენი იარაღი აქვს. კავშირი იქონიეთ საბჭოთა სარდლობასთან, რომელიც სოჭში იმყოფება და სოხ. საოლ. კომ. კომიტეტი. აგირბას სხვათა შორის აღმოაჩნდა რეზიუმე, სადაც იპოვეს შემდეგი შინაარსის მოწმობის შავი: „წარმომდგენი ამისა ჩაგუ ამხარავა, ხალდახვარის რ. კ. 3. კომიტეტის თავმჯდომარე იგზავნება საბჭოთა რუსეთში აფხაზეთის ხალხის მდგომარეობის და მათი რევოლიუციონური განწყობილების საინფორმაციოთ. აღმოჩენილი საბუთები უდავოთ ამტკიცებენ იმას, რომ აგირბა იყო აფხაზეთში ბოლშევიკურ მოძრაობის მეთაური. რომელსაც კავშირი ჰქონდა საზღვრით მყოფ და ადგილობრივ კომუნისტებთან. შემდეგი ენერგიული გამოძიების საშუალებით აღმოჩენილი იქნა ვოლკოვი, შემდეგ პირობებში მილიციამ და საგანგებო რაზმმა მიიღო ცნობები საბჭოთა რუსეთიდან სოხუმში კომუნისტების ჩამოსვლის განზრახვის შესახებ. მათ სოხუმის ციხიდან აგირბას, კუხალეიშვილის და სხვათა განსათავისუფლებლად დიდძალი ფული უნდა ჩამოეტანოთ მილიციამ და რაზმმა მომავალ გემებზე მეთვალყურეობა მოაწყვეს და აგვისტოს 17, გემი „ესპერანცა"-ით მოსულ მგზავრებს გაჩხრეკის დროს სხვა მგზავრთა შორის აღმოაჩინეს ორი პირი, რომელთაგანაც ერთმა თავის თავს უწოდა საქართველოში მყოფ საბჭოთა წარმომადგენლობის და ტუაპსის რევ. კომიტეტის რწმუნებული, რომელსაც საქართველოში მყოფ საბჭოთა რუსეთის ქვეშევრდომების რუსეთში ევაკუაციის საქმე ჰქონდა დავალებული. ამასთანავე მან განაცხადა, რომ ჩემი გვარი საზონოვი არისო. მეორემ კი განაცხადა ჩემი გვარი კუცენკოა და რწმუნებულის თანაშემწეთ ვითვლებიო აღნიშნულ პირების 200.000 „ნიკოლოზის" ფული აღმოაჩნდათ. გემის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც არც ერთმა მგზავრმა არ იცნო არათავისად. საზონოვმა და კუცენკომ წარადგინეს თავისი რწმუნებანი: საზონოვმა საქარ. მყოფ. საბჭოთა წარმომადგენლობისაგან (ქავთარაძის ხელის მოწერით № 349) და ტუაპ.ის რევ. კომ. აგვისტოს 10 და 15-დან, კუცენკომ ტუაპ.ის რევ. კომიტეტისაგან.

გამოძიებამ საზონოვის და კუცენკოს მიერ ჩადენილი სამარცხვინო ფაქტები აღმოაჩინა. სხვათა შორის საზონოვს აღმოაჩნდა 1 სოხუმის სატუსაღოს პატიმარის ბილეთი მის სახელზე, საიდანაც სჩანს, რომ ის იყო დაპატიმრებული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებისათვის, რისთვისაც იგი ადმინისტრატიული წესით სამი თვით იყო დაპატიმრებული 2, სოხუმის კომიტეტის წითელი არმიის მანდატი, 3, კავკასიის ფრონტის სარეგისტრაციო პუნქტის აგვისტოს 3 თარიღის ხელწერილი, რომ მან მიიღო სამი რუკა: გეგმა თბილისის, და სოხუმის ტრიუმბილაცის. მას შემდეგ, რაც კიროვმა დაადასტურა, რომ საზონოვ არის მისი რწმუნებული, განთავისუფლებულ იქმნა საპატიმროდან, [illegible] კი, ღმობა ნიკოლოზ [illegible] რომელსაც ადმინისტრაციო [illegible] აქედან. ამგვარად აღარ არსებობს ეჭვი კუცენკო-ვოლკოვის ვინაობაში და „ოფიციალურ გამგზავრების" მიზნებში. გამოძიებამ აღმოაჩინა აგრეთვე რამოდენიმე მეორე ხარისხოვანი მონაწილენი, რომლებიც დაპატიმრებულია. ამ რიგადა ზემო აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ და ომის დროს აზერბაიჯანთან ოლქში არსებულ სოხ. საოლ. კომ. კომიტ. პარტიული ორგანიზაციების მეთაურები საბჭოთა მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენლებთან და სოჭის საბჭ. სარდლობასთან შეთანხმებით განაგრძობდნენ არა ლეგალურ სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელსაც სამაზ. კომიტ და სხვა ორგანიზაციების დახმარებით ანხორციელებდენ თვით სოხუმში კი მათი მოქმედება გამოიხატებოდა აგიტაციაში იარაღის და ასაფეთქებელ მასალების შეძენაში, სახელმ. მობილიზაციის ხელის შეშლაში და თავიანთ ორგანიზაციების ფულით უზრუნველყოფაში, აფხაზეთში მათი მოქმედება გამოიხატებოდა ხალხის აღელვებაში, სეპარატიულ მოქმედებისაკენ მოწოდებაში და საბჭოთა რუსეთის სასარგებლოდ აჯანყების მოწყობაში: გაგრაში კი, პროპაგანდით ფრონტის გახრწნაში, სამხედრო კომ. ტის და შპიონაჟის მოწყობაში. დანარჩენი საბუთები, რომლებიც ააშკარავებენ მათ მოქმედებას მოკლე დროში იქნება გამოქვეყნებული.

---

# ახალი ამბები:

### მთავრობაში.

— გადამდებ სენთა მიმდინარეობა. თანახმად მთავრობის განკარგულებისა ჯანმრთელობის დეპარტამენტში დაამუშავეს ბიულეტინის № 1 გადამდებ სენთა მიმდინარეობის შესახებ. ბიულეტინის ენკენისთვის 8—16 ეხება. სექტემბრის 8-მდე ბათომში ჯირკვებიანი ჟამით ავათ ყოფილა 17, შემდეგ გამხდარა ავათ 18, გარდაცვლილა 5 მორჩენილა 4. საავადმყოფოში დარჩენილა 26. ტფილისში: ავათ იყო 21, ავად გახდა 7, გარდაიცვალა 6, მორჩა 4 და საავადმყოფოში იმყოფება 18. გორის მაზრაში ავად გახდა 23, გარდაიცვალა 15, მორჩა 8, ტფილისის მაზრაში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1. სულ ერთი კვირის განმავლობაში ავად იყო 21, გახდა ავად 31, გარდაიცვალა 22, მორჩა 12, სექტემბრის 16—სთვის საავადმყოფოებში იყო 18 ავადმყოფი.

### ერობაში.

— ერობათა კავშირის კომიტეტს განზრახული აქვს ხელი მოჰკიდოს საბაჭშო

---

თალია, მოზრდილი ნაწილი რესპუბლიკას უბრუნდება უკან, მაგრამ არის ნაწილი, რომელიც უცხოეთში რჩება და ეს ნაწილი ყოველ შემთხვევაში საერთო თანხის ერთი მეათედზე ნაკლები არ იქნება შავი ქვის ექსპორტი სულის ჩამდგმელია ბონების კურსისა და საზ. ჩვენი ფინანსებისათვის, მაგრამ რაც უფრო მეტს გავიტანთ და გავასაღებთ, მით უფრო ნაკლები განძი გვრჩება შინ ვალიუტის უზრუნველ საყოფათ. გატანილის გასაღებით ჩვენ აღებულ თანხის ერთა ნაწილს უცხო ექსპორტიორებს ვუტოვებთ ამა თუ იმ სახით, მეორე მოზრდილ ნაწილით ყოველთვის ვყიდულობთ უცხოთა ნაწარმოებს ე. ი. ვადიდებთ იმ პორტის საერთო ჯამს, ეს ერთის მხრივ; მეორეს მხრივ კი, რადგან გატანილ შავი ქვის სანაცვლო რაოდენობას აქ არ ვამზადებთ (ჭიათურაში არაა მაღაროების მუშაობა), ეს რაოდენობა გვაკლდება ბონების უზრუნველ მყოფ ფონდისათვის. იმავე დროს ბონების ემისიის რიცხვს ვამრავლებთ.

აი, შემდეგი ფაქტი, მჭერმეტყველურათ დამახასიათებელი იმისა, თუ რა რიგათ ვუწყობთ ხელს ჩვენი ცხოვრებითი საკითხის გადაჭრას—მარგანეცის გაზიდვას. მარგანეცის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. სოლოვიოვი გულგახეთქილი იუწყება, რომ ფოთის მუშები უარზე არიან კვირაობით ზიდონ მარგანეცი ვაგონებიდან გემებზე და ჰყრიან მხოლოდ საწყობებზე, სადაც მიმღებნი უარს ამბობენ ჩაბარებაზე, რადგან მარგანეცი გემებისათვისაა დანიშნული. ვაგონებიდან გადმოტვირთვა საწყობებზე, უკანასკნელიდან დატვირთვა ისევ ვაგონებში, უკანასკნელიდან დატვირთვა გემებზე-კი დიდ ზარალს იძლევა ამტვერებით და დაუსაჭიროებლათ ახდენს ზედმეტ ხარჯს მუშის ხელფასზე. კვირაში დღე ნახევრის გაცდენა დიდ ზარალს აძლევს სახელმწიფოსა და მრეწველობას. ივლისში გავიდა 50 ვაგონი მარგანეცი აგვისტოში 60 ვაგონი. განცხადებები (ზაიავკები) კი უდრის თვეში 150 ვაგონს. ძლივს ვაკმაყოფილებთ მხოლოდ ერთი მესამედ მოთხოვნილებისას! მუშების აგეთი საქციელი გვიქადის ბაზრის დაკარგვას, რადგან გემები დიდი უსიამოვნებით თანხმდებიან ფოთში შემოსვლას და მყიდველების იმედიც მარგანეცის დროზე მიღების შესახებ არ მართლდებაო.

ბატონებო, ციხეში ვსვამთ და ყოველ ქონებას ვართმევთ „სპეკულიანტს", რომელიც ბევრს იგებს, აგროვებს მოგებას, რომელსაც შემდეგ სახელმწიფო გადასახადის სახით სამართლიანად ეპატრონება ნაწილობრივ მაინც.

რას ვუშვრებით იმ ხალხს, რომელიც თვითონ შესაძლოა ვერაფერს აგროვებს და ექსპორტსა და მრეწველობას კი გამანადგურებელ ზიანსა და აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს და მით სახელმწიფოსაც უკარგავს ნაღდ შემოსავალს წყაროს?!

ეს არ არის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა! ეს არ არის კანონიერი ზომები! ეს არ არის მუშათა საკითხის გადაწყვეტა! თუ მუშებს არ უთვალისწინებთ და არ ვაკავებთ აგეთ საბედისწერო ნაბიჯებიდან, ჩვენ მათ ვხრწნით და უეჭველ დაღუპვისაკენ მივაქანებთ!!

რაც შეეხება ჩვენს თხილს, ბოსტნეულობას, ხილეულობას ან დაფს—ესენი წარმოადგენენ შედარებით მცირე პროცენტს ჩვენი ექსპორტისას, მაგრამ ექსპორტის ხელის შემშლელი და გამაძნელებელი პირობები მათაც იმავ ცუდ მდგომარეობაში აგდებს, როგორისა შიაც არის შავი ქვა თუ თამბაქო.

ამგვარად, ნედლი მასალა, სახელმწიფოს მთელ ქონების ის ნაწილი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვალიუტისათვის—ჩვენი საექსპორტო მასალა ან ცუდ პირობებში იქნა გატანილი და სასურველად ვერ იქნა განაღდებული, თამბაქო, მატყლი, ნოხები და სხ.) ან იზიდება უცხოეთში, ავად თუ კარგად მართალია საღდება, მაგრამ 1) ნაწილი განაღდებულისა მოგების სახით რჩება უცხოელებს, 2) მოგების ჩვენი ნაწილიდან ვყიდულობთ უცხოელთა ნაწარმოებს და ვაძლიერებთ იმპორტს და, რაც ყველაზე უარესია, გაზიდულ საქონელის რაოდენობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ვერ ავსებს ახალის ნაწარმოებით, იმავე საქონლის ახალი საექსპორტო რაოდენობის წარმოშობით ან დამზადებით. ე. ი. საექსპორტო საქონელს, უცხოეთის ბაზარზე ან ვერ ვანაღდებთ და ვაგებთ, ვზარალდებით (თამბაქო, ნოხები, მატყლი) ან და თუ ვანაღდებთ აღებულ ფულის თანხით ჩვენვე ვვალიანდებით უცხოეთის საქონლის შემოზიდვით.

აბა, რა გასაკვირია, რომ აგეთ პირობებში ბონების კურსი განიავდეს?! მაგრამ იქნებ ახალ წარმოებებს ვხსნით? მაგ. ავიღოთ შაქრის წარმოება რომელსაც კარგი ნიადაგი აქვს ჩვენში (შაქრის ჭარხალი) და პირობებიც ხელს უწყობს შაქრის ქარხნის გახსნას, რადგან გადამავალი ხანაში, გაძნელებულ იმპორტისა და საქონლის სიძვირის დროს, უცხოელ ნაწარმოების კონკურენცია ახლათ დაწყებულ საქმეს ვერასავნებდა. 1918 წ. დაიწყეს თბილისში შაქრის ქარხნის გახსნის შესახებ მუშაობა. ჩვენ განსაკუთრებული წერილიც ვუძღვენით ამ საგანს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. თაოსნობის ჯგუფს შეადგენდა ბაქოელი ქართველები და თბილისელი მსხვილი ვაჭრები. განზრახულ იყო 50—60. მილიონი მანეთის გაძღოლება საქმისათვის. ქარხნის სამკაული უნდა გადმოეტანათ ხარკოვიდან, რომლის მთავრობა სკოროპადსკის დროს ხელს არ უშლიდა. მოლაპარაკება სწარმოებდა და დასრულებულიც იყო ცნობილ მექარხნე იაროშენსკისთან. ჩვენს მთავრობას პირობათ უდებდნენ, რომ 35 წლის შემდეგ ეგ ქარხანა მთელ ინვენტარით და სამკაულით სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა. მაშასადამე, ჯგუფს ექსპლოატაციის უფლება რჩებოდა მხოლოდ 35 წლის განმავლობაში. მხოლოდ ჯგუფი სთხოვდა მთავრობას 5.000 დეს. მიწას ბორჩალოს მაზრაში ქარხნის მოსაყვანად. ორი წლის განმავლობაში ეგ საქმე აწვალეს. სამინისტროებში და მხოლოდ 1920 წლის დამლევს ღირსეს პასუხი, რომ 4.000 დეს, მოგვცემთო. ეს პასუხი დამოკიდებული იყო მიწათ მოქმედების სამინისტროსაგან. მდგომარე წლის დამდეგი, მოგეხსენებათ, რეკვიზიციებისა და ჩამორთმევის ფსიხოზით იყო გაჟღენთილი და მაშინ რამე ახალი წარმოების დაწყება ყველას საშიშოდ მიაჩნდა. დამახასიათებელია რომ 2 (ორი) წლიწადი უნდება მთავრობა იმას მოფიქრებას, მისცეს თუ არა 4—5 ათასი დესიატინა იმ ახალ სამრეწველო წარმოებისათვის, რომელიც სულ თავიდან უნდა რესპუბლიკას მკვიდრ ქვეშევრდომებმა საკუთარი თანხით და რისკით. ეს მეტად თვალსაჩინოდ დამახასიათებელია მისა, რომ მთავრობას თუ სათანადო სამინისტროებს საკუთარ მრეწველობის ახალი დარგის წარმოშობის მნიშვნელობა ვერ გაუთვალისწინებია. განა ავალალო არ არის რომ ამგვარი საკითხების საბოლოო გადაწყვეტა დამოკიდებულია მიწათ მოქმედების სამინისტროზე და არა ვაჭრობა-მრეწველობაზე? ან ღირს მისახელეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფო, ღირსი ამ სახელწოდების, რომ ახლად წარმოშობილ დარგს მრეწველობის ყოველგვარ დახმარებას და სუბსიდიას არ აძლევდენ, მით უფრო შაქრის წარმოებას, რომელიც ევროპის ყველა ქვეყნებისათვის განსაკუთრებულის მზრუნველობისა და ყურადღების საგანს შეადგენდა მუდამ. სამარცხვინოა მხოლოდ ეს ერთი ფაქტი ამბობს თავად, მაგრამ გაგვიბედე ეკონომისტს თუ ფინანსისტს, რომ მან უფრო შეუცდომლათ დაასახელოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ფინანსიური პოლიტიკა, რომლის წარმოება უფრო დამოკიდებული მიწ. მოქ. თუ მომარ. სამინისტროებიდან ვიდრე ფინან. და ვაჭ.-მრეწველობის სამინისტროზე.

ამგვარად, ჩვენ აქამომდე გაგვქონდა უცხოეთში მხოლოთ 3—4—5 წლის წინ დამზადებული საქონელი—თამბაქო, შავი ქვა და სხ. და ეს გატანილი საქონელიც ერთნაირის სარგებლობით ვერ გავასაღეთ. წინააღმდეგ, იმ საქონელში ვზარალეთ, რომლის გატანა—გასაღება მთავრობის ე. ი მომარაგების სამინისტროს ხელთ იყო, ასეთი ბედი ეწვია თამბაქოს, ნოხებს, მატყლს და სხ, იმ საქონელში კი არაფერი წაგვიგია, რომლის გატანა—გასაღება ყოველ შემთხვევაში მთავრობის ხელთ არ ყოფილა. ვიგებდით უმეტესათ შავი ქვა, და ნაწილობრივ თამბაქო. („ჩემო", კერძო პირი) მაგრამ 1) ჩვენ გატანილის სანაცვლოს და შესავსებს არაფერს ვამზადებთ ახალს და 2) არც ახალ საწარმოო დარგებს ვუწყობთ ხელს, ასე რომ ჩვენი ექსპორტის ბედი ფრიად კატასტროფიულია.

ფინანსთა და ვაჭ. მრეწ. სამინისტრო თავის უკანასკნელ მოხსენებაში დიდ მნიშვნელობას აწერს 1) სანოვაგის იმპორტის საჭიროებას და 2) საკუთარ ტონაჟის უქონლობას. ეს ორი გარემოება მიზეზი სხვათაშორის ვალიუტისა და ექსპორტის დაცემისა. ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით.

სანოვაგის იმპორტს იმდენად აქვს მხოლოდ მნიშვნელობა, რამდენადაც ის საზ. აძლიერებს ჩვენს იმპორტს. შვეიცარია, ნორვეგია, დანია, ჰოლანდია, საფრანგეთი, იტალია, შვეცია და სხ. სახელმწიფოებიც საჭიროებენ სანოვაგის იმპორტს, მაგრამ მათ ვალიუტა არ გაფუჭებიათ ეგრე რიგათ. საქმე იმაში კი არაა, თუ რას შემოიტან სახელმწიფოში, არამედ იმაშია, თუ რას, რა ღირებულობას ჰქმნის ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ შეგვიძლიან 100 მილიარდის ხორბალი შემოვიტანოთ, მაგრამ 200 მილიარდის ღირებულება წარმოვშვათ და უცხოეთში გავიტანოთ სანაცვლოდ, ჩვენ მაინც მოგებული ვიქნებით. აქ მთავარი ღერძი საკუთარ ძალებით მაღალ ღირებულებათა წარმოშობაა.

არც ტონაჟი აა საშიში, არც შვეციას, ნორვეგიას, დანიას, შვეიცარიას საკმარისი ტონაჟი არ გააჩნიათ, მაგრამ მათი ნაწარმოები მაინც გადის ბაზარზე, რადგან დიდ ღირებულებას ნაწარმოები და ტონაჟი გამოინახება თვით მყიდველთა მიერ. თქმა არ უნდა საკუთარი ტონაჟი დიდი შეღავათია და გაადვილებაა საგარეო ვაჭრობის. ჩვენი მორიგი მეორე ამოცანაა ტონაჟის შეძენა, მაგრამ უტონაჟობა არაა მთავარი მაჩვენებელი ჩვენი სუსტი ექსპორტისა.

მთავარი მიზეზია: ყოველგვარი წარმოების, თამბაქოსა, მატყლისა, შავი ქვისა, აბრეშუმისა, ღვინისა და სხ. ან შემცირება, ან სრულიად შეჩერება და ახალ სამრეწველო დარგების წარმოშობისათვის ხელის შეშლა. ჩვენ ვერ ვქმნით საკმარის ღირებულებათ!

მაშ რაშია შველი?

1) მთელი ძალები უნდა დაიძრას, რომ შავი ქვის წარმოება ჭიათურაში, მაღაროების დამუშავება რაც შეიძლება მალე დაიწყოს.

2) რომ ხნას ყველა დამბრკოლებანი ექსპორტისათვის და მოეწყოს მნიშვნელოვან მასალათა გაზიდვა საჭ. „ჩემო"-ს დაგვარ. ორგანიზაციების საშუალებით.

3) ფართო ინფორმაციით ხელი შეეწყოს მაღალ კულტურის მცენარეთა წარმოებას: ჩაისა, თამბაქოსა, ბამბისა და სხ.

4) ყოველგვარი დახმარება და შეღავათი აღმოეჩინოს სამრეწველო წარმოების ახალ დარგებს, განსაკუთრებით კი შაქრისას, სართავ-საქსოვისას, ტყავეულობისას, სახამებლისას (სიმინდი) და სხ.

5) ყველა ეკონომიური და ფინანსიური ზომების შემუშავება და ცხოვრებაში გატარება, მთელი სავალიუტო მუშაობა და სახალხო მეურნეობისათვის მზრუნველობა შეკავშირდეს ერთ სამინისტროში და მით მოისპოს ფუნქციათა დაქსაქსვა და აღრევა.

6) შინაურ წარმოების გაფართოებით და ექსპორტის გაძლიერებით თანაბარ პროპორციის დაცვა ექსპორტისა და საკუთარ ახალ წარმოების რაოდენობისა მაგრამ არა ექსპორტის შეზღუდვით, არამედ საკუთარ ახალ ნაწარმოებთა წარმოშობით გატანილის შესავსებათ მაინც (თუ არა მეტის).

7) ბონებს ემისიის დაქვემდებარება ექსპორტის რაოდენობის პროპორციასთან.

8) ნება დართულ იქნას უცხოეთიდან რესპუბლიკაში შემოზიდულ საქონლის საზღვარ გარეთ გაზიდვა გარეშე ტრანზიტის წესებისაც (რესპუბლიკას რჩება შუამავლის როლი და მოგება. გავა საზღვარ გარეთ მხოლოთ ზედმეტი საქონელი!)

9) მუშათა ხელფასის შესახებ განსაკუთრებული თათბირის გახსნა დაქირავებულთა და დამქირავებელთა გადამწყვეტის ხმით დასწრებით, შრომისა და წარმოების გასაყოფიერებისათვის და დაქირავებულ შრომის დამქირავებლებთან ურთიერთობის მრეწველობისა და სახელმწიფოს ინტერესის თვალსაზრისით მოსაწესრიგებლად.

ტ. მერკველაშვილი.

ლიტერატურას და სახალხო წიგნების ფართედ გამოცემას. მან პრინციპიალურად უკვე მიიღო სახავშო ჟურნალის „ნაკადული"-ს რედაქციის წინადადება ამ გამოცემის ერობათა კავშირში გადმოსვლის შესახებ.

— თივის დამზადებით ერო-კავშირმა ძლიერ დასწია საბაზრო ფასები. წელს დამზადებული იქნება მილიონ ნახევარი ფუთი თივა. 500 ათასი ფუთი თივა უკვე მოტანილია საწყობში.

— კოხნარის (ყოფილი საჭამია სერის) თემის გამგეობის უკანონო მოქმედების გამო ერობის გამგეობამ ამ დღეებში შემდეგი დაადგინა: ვინაიდან გამოძიებამ გამოარკვია, რომ კოხნარის თემის გამგეობას უსამართლოდ გაუნაწილებია ხელმოკლე მცხოვრებთათვის მიცემული სიმინდი, რომლიდანაც იაფ-ფასიანი (200 მ. ფ.) გაუნაწილებია თავიანთებში და ადგილობრივი გავლენიან პირებს შორის და ისიც დიდი რაოდენობით, გამოეცხადოს კოხნარის თემის გამგეობას საყვედური და წინადადება მიეცეს მას, რომ ვისაც სამს ფუთზე მეტი აქვს წაღებული სიმინდი დაუყონებლივ დაუბრუნდეს თემს ზედმეტი ათი დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთს პირებს გადახდეს ფუთზე 800 მანეთი.

— გურიაში ერობამ დაარიგა 2 ვაგონი სიმინდი და 2 ვაგონი ქერი. სიმინდი ადგილობრივ ბაზარზე ფასობს 2,000 მ. 2,380 მ.

— ამ დღეებში ერობის გამგეობის წევრმა გ. ბერეჟიანმა მოახდინა რევიზია ხიდისთავის თემის გამგეობის მოქმედებისა; აღმოჩნდა ბოროტმოქმედება ანგარიშებში, რის გამოც საქმე გადაეცა გამომძიებელს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

### მუშათა ცხოვრება.

— **მუშა დელეგაციის დაშლა.** მუშათა დელეგაციამ უკანასკნელ სხდომაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ არ დართო ნება მუშათა დელეგაციას საბჭოთა რუსეთში შესვლისა, დელეგაციის ორგანიზაცია დაშლილად გამოცხადდეს და დელეგაციის წევრები თავის მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგნენ. მუშათა დელეგაციამ ამასთანავე ერთხმად დაადგინა: დაუბრუნონ სხვა და სხვა ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მიღებული მოწყობილება და სურსათ სანოვაგე.

### რკინის გზებზე.

— **მატარებლების შეცვლა.** რკინის გზის უფროსის განკარგულებით მატარებელი № 17 ბორჯომ—თბილის შუადღის 8 საათზე რომ გადიოდა შეცვლილია და აღარ გავა.

### სხვა და სხვა

— **სპეკულიანტების გადასახლება.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, დაჭერილ სპეკულიანტებს რიცხვით 39 კაცს, ოჯახებით რესპუბლიკის ფარგლებიდან ასახლებენ. სპეკულიანტების ბინები მთავრობის განკარგულებაში გადავა. გადასახლებულთა გვარები ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **ჭრა-კერვის სკოლები.** ქალთა საქვ. საზ-ბის ჭრა-კერვის სკოლაში ხელსაყრელ ფასებში იღებენ შესაკვეთად ყოველ გვარ ტანისამოსს: კოსტიუმებს, პალტოებს, საცვლებს და სხვა. იქვე მიიღებიან მოწაფენი ჭრა-კერვის შესასწავლად.

— **უმაღლეს-დაწყებითი სკოლა.** დიდუბეში გაიხსნა უმაღლეს-დაწყებითი ქალაქის სასწავლებელი. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 12 საათიდან 3 საათამდე. 1-სა და მე-2 კლასში. კოოპერაციის ქუჩა, ბეროზაშვილის ყოფილი გიმნაზია.

### სამხატვრო ქრონიკა.

— **პოეზიის საღამოები კახეთში.** ენკენისთვის ბოლო რიცხვებში თელავში და სიღნაღში გაიმართება პოეზიის საღამოები. მონაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, და გ. ლეონიძე.

— **პოეზიის საღამო.** კვირას 26 სექტემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის საღამო ყრიმიდან ჩამოსულ პოეტების: ი. ერენბურგის და ო. მანდელშტამისა. საღამოს წინ გრიგოლ რობაქიძე იტყვის სიტყვას რუსულ პოეზიაზე.

## შავი ჭირის გამო.

საქართველოს ამ ჟამად ორი დიდი გადამდები ავადმყოფობა სტანჯავს: შავიჭირი და ხოლერა.

პირველი ბათომს მოედინა, ხოლო მეორე ტფილისს.

ბათომიდან ჩამოსულნი შეშინებულნი არიან ბათომის მცხოვრებთა ბედით. ხოლო ტფილისელთ ხოლერა აფიქრებთ.

საქართველოს ჰყავს ჯანმრთელობის დეპარტამენტის დირექტორი, მაგრამ საქართველოს, სამწუხაროდ, არ აქვს წამლეულობა და ხელსაწყონი აღნიშნულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ საბრძოლველი.

სამწუხაროდ საქართველო მეტად ახალგაზრდაა და სუსტია იმ მეცნიერულ ძალებით, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან ასეთ ავადმყოფობათა შესასწავლად, გამოსაკვლევად და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შემდეგ ღონისძიებათ:

1. საქართველოს მთავრობამ მოვლენილი უბედურება დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საერთაშორისო წითელ ჯვარს (რომლის წარმომადგენელი ტფილისშიც იმყოფება) და უნდა სთხოვოს მას სათანადო დახმარება როგორც ცოცხალ, მეცნიერულ ძალებით, ისე წამლებით და სათანადო ხელსაწყობებით.

2. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოითხოვოს პარიზის, ბერლინის, ვენის და სხვა უნივერსიტეტთა სხვაქიმო ფაკულტეტებიდან მეცნიერული ძალები საქართველოში მოვლენილ ავადმყოფობათა შესასწავლად და გამოსაკვლევად.

საქართველოს მთავრობას უეჭველია მოეხსენება ევროპის ის უდიდესი დახმარება, რომელიც აღმოუჩინა მან ინდოეთს 94—98 წლებში, როდესაც საშინელი სენი—შავჭირი—ბომბეიში მძინვარებდა.

საქართველოს მთავრობამ უნდა გაიხსენოს პროფესორ კოხის და ალბრეხტის ექსპედიციების მოღვაწეობა აღნიშნულ ავადმყოფობათა წინააღმდეგ მიმართული და სანამ კიდევ დროა, უნდა მიმართოს საშველად ევროპას, თორემ „კაცმა ჭირი მალა, ჭირმა თავი არ დამალა"-ო უთქვამთ ქართველთა ბრძენ წინაპრებს. მერმე სინანული გვიანღა იქნება.

იოჰანნა წ.

## ბრძანება რესპ. ჯარებისადმი.

1) 1920 წ. მივემგზავრები რა დღეის რიცხვიდან შვებულებაში სამი კვირის ვადით სათანადო ნება დართვით, ვბრძანებ ჩემი მოვალეობის ასრულებას შეუდგეს ჩემი თანაშემწე გენერალი ოდიშელიძე.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

2) ა. წ. სექტემბრის 5 დან გაუქმდეს საღამოს უფლებამოსილებისათვის დამატებით გასამრჯელოს მიცემა, რაიც დაწესებული იყო დროებით სამხედრო სამინისტროს ცენტრალ სამმართველოებისა და სამხედრო დაწესებულებების მოსამსახურეთათვის. ცნობა ბრძანება რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლისა. 1920 წ. № 65

სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე.

3) დასამატებლად ა. წ. ჯარებისადმი № 47 ბრძანებისა ვაცხადებ ჯარის ერთეულების და სამხედრო დაწესებულებათა ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ ა. წ. ენკენისთვის 5-დან გაუქმებულია დასახელებულ ბრძანების მე-7 მუხლით და მის შენიშვნით დაწესებული მეორე ულუფის მიცემა. ამიერიდან ფრონტზე მყოფ ყველა სამხედრო მოსამსახურეთ უნდა ეძლიოთ მხოლოდ თითო უფასო ულუფა

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

4) ვაცხადებ ჯარის ერთეულების და სამხედრო დაწესებულებათა ცნობად და საყურადღებოდ, რომ ამა წლის ენკენისთვის 1 დან გაუქმებულია 30 მანეთიან დღიურ სარგოს მიცემა, რაიც დაწესებული იყო 1920 წლის ჯარებისადმი № 91 ბრძანებით.

სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

## ჩვენი კორესპონდენტები

### ს. ფშაველი.

(თელავის მაზრა)

მშვიდობიან სოფლის ცხოვრებაში მოუსვენრობა და შეშფოთება ყაჩაღობას და ქურდობას შეაქვს. ისე არაფერი აწუხებს სოფელს, როგორც ქურდობა და ყაჩაღობა. თუ გახშირდა რომელიმე სოფლის ახლო ყაჩაღობა ამ სოფლის ხალხს ეკარგებათ ხალისი მუშაობისა. ამიტომ არის, რომ ხალხი ერთგვარ სიამოვნებას განიცდის, როდესაც მთავრობა სამართლიანად სდევნის ქურდ—ყაჩაღებს, ატუსაღებს და სჯის. ხალხი თანაგრძნობას უცხადებს, აქებს და იყვარებს ისეთ მოხელეებს (ყაჩაღებს დევნაში) რომლებიც ვაჟკაცობას იჩენენ, წინდახედულად, დინჯად, შეუცდომლად მოქმედებენ და მიზანს აღწევენ. ასეთი მოხელეები ღირსეულს ჯილდოს იღებენ ხალხის ქების სახით.

მაგრამ ვაი იმ მოხელეს, იმ მილიციას რომელიც ყველაფრით მოისუსტებს და ნამეტნავად ტრაბახობით ყურებს უჭედს ყველას. დღესაც დარჩენილი აქვთ ჩვენ სოფელში... გოგოხიას ლანდი და მასზე ანეკდოტები. უკანასკნელ დროს ჩვენს რაიონში ხშირად ჰქონდა ადგილი ორივე ზემო მოყვანილ მოხელეების მოქმედებას. აშკარაა პირველი ჯურის მოხელენი [illegible] ყაჩაღებს, მეორენი ხელს უწყობენ მის გამრავლებას. ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება [illegible] და მეორე ყალიბის მოხელეთა [illegible]მულნი იყვნენ. დღეს ჩვენს ხევში ლიკვიდაცია ხდება ყაჩაღობისა, ქურდობაც შესუსტებულია, ეს სასიხარულოა. გულახდილათ უნდა ვაღიაროთ რომ თელავის მაზრაში ამ მხრივ ბ. ჭყონიძის დიდი ქება და მტკიცე ნაბიჯები ბევრის შველის საქმეს. იმასვე უნდა უმადლოდეს ფშაველი, რომ დღეს იქ ური ყაჩაღი გასული ლუკა რამაზაშვილი თავის ფეხით დაბრუნდა, და ჰყარა იარაღი და სურვილი გამოსთქვა სამხედრო ბეგარის მოხდისა. იმედი აქვს ფშაველს რამაზაშვილის მოწინაურებით ბოლო მოეღება იმ სისაძაგლეებს, რასაც ადგილი ჰქონდა ფშაველში. თელავის ადმინისტრაციას საშუალება ეძლევა ზედმიწევნით გაიგოს (რამაზაშვილის წყალობით) ბუდე საძირკველი იმ ბოროტებისა, საიდანაც ეზიარებოდნენ, ინახებოდნენ და იფარავდნენ თავს ამ რაიონის ან ყაჩაღები ან ქურდები. დამნაშავენი და მოღალატენი სახელმწიფოსი იმდენად ყაჩაღები კი არ არიან, რამდენად ისინი ვინც მათ ინახავს და ვის ხელშიაცი არის ორგანიზაცია ამ ბოროტებისა. ვიმეორებთ, თელავის ჩვენ პატრონებს ხელში აქვთ საშუალება ბოროტობის ამოფხვრის ჩვენს რაიონში მაინც—ჯერი მათზედ არის ეხლა. ველით სამართალს.

წყაროს თაველი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.


**სამკურნალო**
ელექტრონის რენტგენის და სინათლის
**მიხეილ გედევანიშვილისა**
დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე.
3102. თე.


## მონოპოლიის საკითხი დამფუძნებელ კრებაში

ალ. ასათიანის სიტყვა.

(სტენოგრაფ. ანგარიში. დასასრული).

მე არ ვიცი რით ხელმძღვანელობდნენ თქვენი წარმომადგენელნი, რომლებიც ნიშნავდნენ ამა თუ იმ პირს ისეთს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, როგორცაა თამბაქოს მონოპოლიის ცხოვრებაში გატარების მეთაურობა. მარგანეცი და თამბაქო ერთი უდიდესი წყაროა სიმდიდრისა, რომელზედაც დიდ იმედს ვამყარებთ, რომელსაც ჩვენთვის ვალიუტა უნდა შეექმნა და რომლის შესახებ გვეუბნებოდნენ, რომ, თუ ამ საქონელს გავზიდავთ ბაზარზე, ჩვენ შევიძენთ სანოვაგეს გაცილებით იაფ ფასებში და მით ცხოვრებას გავაიაფებთო. დიდი იმედები გვქონდა დამყარებული ამ საქმეზე და, როდესაც ამ საქმეს ვიწყობდით, ჩვენ უნდა გამოგვეკვლია შეესაბამება და შეეფერება თუ არა ამ საქმეს ის რწმუნებული, რომელსაც, ჩვენ ამ უდიდეს საქმეს ვაბარებდით. მე ამ პირის წარსულ მოღვაწეობას არ ვიცნობ, ხოლო ვიცი, რომ მას თამბაქოს საქმესთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია. ეს აქ თქვენმა წარმომადგენელმა განაცხადა. რკინის გზის ტეხნიკი ყოფილა და მარგანეცის საქმეშიც უმუშავნია, პოლიტიკურად კიდევ ბოლშევიკური მიმართულების ყოფილა ჯერ კიდევ დანიშვნის წინა თვეებში. მე მიკვირს რა მოსაზრებით უნდა მიგვეცათ ამ პირისთვის ეს უდიდესი თანამდებობა. ის ინსტრუქციები, რომელსაც ის სცემს მოწმობს, რომ მას თამბაქოს მოვლა-მოყვანის შესახებ სულ უბრალო, ელემენტარული ცოდნაც არ აქვს. ვისთვის იყო საჭირო, რომ ასეთი პირი აღეჭურვათ შეუზღუდავი უფლებებით და მისთვის ასეთი რთული საქმე ჩაებარათ?

ეხლა როგორ ვასაღებთ იმ საქონელს, რომელსაც ძალდატანებით და სულ დაბალ ფასებში ვართმევთ მეპატრონეთ? ჩვენს სამინისტროს ასეთი წესი ჰქონდა შემუშავებული: თუ რომელიმე უცხოეთის გემი გაიარდა აფხაზეთის სანაპიროზე ეცემოდნენ და მას თამბაქოთ აავსებდნენ. გზავნიდნენ ევროპისაკენ, თან ატანდნენ წარმომადგენლებს და აგენტებს ისევე დახელოვნებულს ვაჭრობის საქმეში, როგორც სხვა რწმუნებულნი იყვნენ. ასე წავიდა უცხოეთში მრავალი გემი თამბაქოთი დატვირთული. ჩვენს იმედებს საზღვარი არ ჰქონდა და ჩვენ ვიცოდით, რომ ევროპის ბაზარზე თამბაქო 8—9 სტერლინგი ფასობდა. აქ მეპატრონეთათვის სტერლინგიც არ გვქონდა მიცემული. დიდი მოგება უნდა გვენახა. მალე გამოირკვა, რომ ჩვენს იმედებს ფრთები ეკვეცებოდა. გავიგეთ, რომ უცხოეთის ნავთსადგურები ავსილა ჩვენი თამბაქოთი და მას მყიდველი ახლოც არ ეკარება. 8 სტერლინგიდან ფასი 2 სტერლინგზე ჩამოსულა და ამ ფასშიც არავის მიაქვსო. რა იყო ამის მიზეზი? მომარაგების მინისტრის ამხანაგი გვარწმუნებს—ამის მიზეზი ის იყო, რომ ომის გათავების შემდგომ ჯარების დემობილიზაცია ხდება ევროპის ქვეყნებში და ჯარის კაცები თამბაქოს მოყვანას შეუდგენო. ეს ასე არ გახლავთ. ზამთარში და ისიც ორ-სამ თვეში ასეთი რამ ვერ მოხერხდებოდა. მიზეზი შემდეგია: ჩვენ მომარაგების სამინისტროს ალბად ეგონა, რომ თამბაქო მარტო ჩვენში მოდის. მთელი წელიწადი მოუნდით პროექტების თხზვას და თამბაქო არ გაუშვით. შემდგომ დავიწყეთ ამ საქმის ჩინოვნიკურათ წარმოება. ამ ხანაში კი მსოფლიო სავაჭრო გზები გაიხსნა, ტონაჟი თანდათან განთავისუფლდა სამხედრო ტვირთვებისაგან და ევროპაშიც დაიწყეს თამბაქოს შეტანა უფრო შორეულ ქვეყნებიდან. ჩვენ აქ მეთამბაქოების დაჭერითა და დასჯით ვიყავით გართული სხვები კი საქმეს აკეთებდენ. ჩვენ რომ მეთამბაქოებთან ვყოფილიყავით შეთანხმებული ეს არ დაგვემართებოდა. მათ ყოველივე ბაზრის თვისებები კარგად იცოდენ. და ისინი არც დაიწყებდენ სოხუმის სანაპიროზე გემების ლოდინს თვეობით და ერთბაშად არ გაზიდავდენ მთელს საქონელს. გაგზავნიდენ მხოლოდ ნიმუშებს. გაასაღებდენ საქონელს და შემდგომ დაიწყებდენ მის გაზიდვას. ყოველი გონიერი ვაჭარი ასე მოიქცეოდა. ჩვენ კი დავგზავნეთ აუარებელი გემები და მათ გავატანეთ აუარებელი აგენტები, რომლებიც უცხოეთის ბაზარზე ერთმანეთს ეჯიბრებიან, მყიდველს ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ და მით საქონლის ფასს სცემენ.

მონოპოლიის უმთავრესი თვისებაა, რომ სამონოპოლიო საქონელს ერთი პატრონი, ერთი მყიდველი და გამყიდველი ჰყავს. ჩვენ ესეც ვერ მოვაწყვეთ. მრავალი პირი და ორგანიზაცია იყო მისი აქ მყიდველი და ასევე გამყიდველიც.

ეს კიდევ ცოტაა. ჩვენ თამბაქოს ვგზავნიდით, როგორც ჩალას, დომხალივით არეულს. ამ საქმის მთელი სირთულე კი მის ხარისხებად დანაწილებაშია. უნდა იცოდე რომელ ქვეყნის ბაზარს, როგორი ჯიშებისა და როგორი შერჩევის თამბაქო უნდა. ჩვენ კი ჩავყარეთ თამბაქო გემებში როგორც ბზე. თამბაქოს ხარისხებად დასანაწილებლად მეთამბაქოეთ დიდი ხელოვნების სპეციალისტები ჰყავთ. ჩვენ რწმუნებულს კი ამ საქმისთვის დაქირავებული ჰყავდა რამოდენიმე ახალგაზდა, სტუდენტები, რომელთაც ამ საქმეზე შორეული წარმოდგენაც არ ჰქონიათ. ასეთი სორტიროვკით გაგზავნილი თამბაქო, ცხადია ევროპის ბაზარზე სხვა მიზეზებს გარეშეც ფასდაკარგული იქნებოდა. ამ რიგად თამბაქოს ბაზარი დამშეული იყო მთელს ევროპაში. გვქონდა გაგვეტანა ჩვენი თამბაქო მისთვის ბაზარი მოგვეპოებინა მომავლისთვის და თან რიგიან ფასებში გაგვესაღებინა. ეს აღყვავებდა ჩვენს მეთამბაქობას და დიდს სარგებლობას მისცემდა ხაზინასაც. ამისთვის საკმარისი დრო გვქონდა და საშუალებაც. მეთამბაქოეთა კავშირი დასაბუთებულ წინადადებას იძლეოდა: ინებეთ ჩვენი საქონელი ნისიად, გამოიყენეთ ჩვენი ცოდნა, გამოცდილება, ჩვენი საწყობები, ყოველგვარი ინვენტარი და სავაჭრო აპარატი. მხოლოდ წილი დაგვიდევით მოგებაში, რომ მით ეს მეურნეობა უფრო გავაფართოვოთ. ჩვენ ეს არ ვქენით, ეს სათუთი საქმე უვიცთ ჩავაბარეთ და მით გავანადგურეთ ეს მრეწველობა მრავალ წლით და ამასთანავე დავკარგეთ თითქმის სრულიად ის თამბაქო, რომელიც სამი ოთხი წლის განმავლობაში დაგვიგროვდა. როგორც კი დაბალ ფასებში თამბაქოს ჩამორთმევა დაიწყეს, დიდი ნაწილი კარგი ჯიშისა და ხარისხების თამბაქოებისა სადღაც გაქრა და ამის შემდგომ ის ნელ ნელა კონტრაბანდით იგზავნება აფხაზეთიდან. ხოლო უკანასკნელი ხარისხები უვარდება ხელში ჩვენს მთავრობას და მისი სპეციალისტები ხშირად მას გზავნიან უცხოეთის ბაზარზე, როგორც პირველი ხარისხის საქონელს. ამასთანავე ჩვენ სრულიად სახელი გაუტეხეთ ჩვენს საქონელს უცხოეთის ბაზარზე. ეხლა ჩვენი თამბაქო სასაცილოდ არის აგდებული. მაზე მოთხოვნილება სულ არ იქნება მახლობელს მომავალში.

**თევზაია:** მარტო ჩვენზე? **ასათიანი:** დიახ, განსაკუთრებით ჩვენზე ვინაიდან ჩვენს თამბაქოს ევროპა წინეთ ცნობდა და ეხლა კი ის ასეთ ცუდათ გავაცანით. უცხოეთში თავის დროზედა წესიერად გატანა თუ ვერ შევძელით ჩვენი საქონლის, აქაც გვქონდა ფრიად საყურადღებო წინადადებები იყო სერიოზული წინადადება. მთელს თამბაქოს იძენდენ და 4 ნახევ. სტერლინგს იძლეოდენ ადგილობრივ. ეს ჩვენ მომარაგების სამინისტროს მცირე ფასად მოეჩვენა. მე კი ვფიქრობ რომ ასეთი საკითხების გადაჭრაში დიდი გავლენა ჰქონდა ზოგიერთი მოხელის სურვილს, რომ ყველა ეს მილიარდების ქონელი მათს ხელში ჩაებარა და ბოლოს თუნდაც მთლად დაკარგოდა სახელმწიფოს. უცხოეთში რომ თამბაქოს ფასი ძალზე დაეცა, ჩვენს სამინისტროს თავის წესები მაინც არ შეუცვლია. სულ უკანასკნელ დრომდე სამს სტერლინგს მარტო გასაზიდავ ბაჟს სთხოვდენ. რასაკვირველია ასეთს პირობებში არავინ წაიღებდა. როდესაც მომარაგების კომისია მივიდა სამინისტროში მონოპოლიის საქმეების გასაცნობად, მინისტრის ამხანაგმა დიდის რიხით გვითხრა: ამ ჟამად თამბაქოს აქვე ადგილობრივ უფრო ძვირად ვაფასებთ, ვინემ ის ღირს ლონდონის ბირჟაზეო. როდესაც მე უთხარი ეს კარგია თუ კი ყიდვის მსურველები გყავთო, მან მითხრა ჯერჯერობით არ არიან, მაგრამო... და სხ.

(**კედია:** სოხუმში დარჩენილი თამბაქო როგორ მდგომარეობაშია?) **ასათიანი:** სამწუხაროდ ძლიერ ცუდს მდგომარეობაში. თამბაქოს შენახვასაც ცოდნა სჭირდება. ჩვენი მოხელეების ხელში თამბაქოს საწყობებში გაუჩნდა რაღაც სენი, ჰაი. შიშობენ, ვაი თუ ისეთი საშინელი გადამდები სენი აღმოჩნდეს, რომ არამც თუ თამბაქოს, არამედ მთელი რაიონების და სოფლების სრულად დაწვა დაგვჭირდესო, როგორც ამას კუბის კუნძულზე ჰქონდა ადგილი გასული საუკუნის დამლევს.

ასე რომ, ბატონებო, რაც ჩვენ გვქონდა და რაზედაც ჩვენ ამდენს იმედს ვამყარებდით, ამას ჩვენ ჯვარი უნდა დაუსვათ. ბოლოს და ბოლოს შეიძლება აღებული ფულით გავასწოროთ ის რაც მცირე ფასი მივეცით მეპატრონეთ და გაზიდვის ხარჯები, თუმცა ვეჭვობ, რომ ფრახტი, იქ შენახვა და განსაკუთრებით ჩვენი აუარებელი აგენტების ხარჯები მან გაასწოროს. ხაზინის გამდიდრება ცხოვრების გაიაფება და სხ. ეს ყოველივე ცარიელ ოცნებად რჩება.

ასეთს მდგომარეობაშია დამზადებული თამბაქოს რეალიზაცია. მაგრამ მის შემდეგ, ძალა ამ საგნებით ვაჭრობის ოპერაციას შევუდექით, ჩვენმა რწმუნებულმა და უწყებამ თამბაქოს წარმოების გეგმა შეიმუშავეს. ეს გეგმაც ფრიად მარტივი იყო გარეგნულად: ჩამოვიშოროთ სრულად ის პირები, რომლებიც ამ ჟამად თამბაქოს სყიდვა-გაყიდვას აწარმოებს და ამ საქმისათვის სათანადო აპარატი აქვს შექმნილი 30 წ. განმავლობაში. ეს პირები ავანსებს აძლევდენ თამბაქოს მთესველებს, პლანტატორებსა შემდგომ საჭირო მასალას თამბაქოს დასამზადებლად და ამის შემდგომ ღებულობდენ მათგან თამბაქოს და უცხოეთში აგზავნიდნენ. ყოველივე ეს ჩვენ მოვახდინოთ, რად გვინდა შუამავლები, სთქვა სამინისტრომ. იდეა ფრიად კარგია მაგრამ ჩვენ მაინც ვაფრთხილებდით მთავრობას. ძნელია ერთბაშათ, ისიც დღევანდელს პირობებში, ამ საქმის ერთიანად გადატრიალება. მთავრობა ვერ მოაგვარებს ამ რთულს საქმეს. ჩინოვნიკური წესებით ეს რთული სამეურნეო საქმე არ მოეწყობაო. რასაკვირველია არ დაგვიჯერეს. მთავრობის რწმუნებული სამს თვეს ადგენდა პლანტატორებისათვის რაღაც კოოპერატიულ წესდებას. ჩვენ მათ დავეხმარებითო, ისინი თამბაქოს მოგვცემენო და სხ. სამწუხაროდ აქაც გამართლდა ჩვენი ეჭვები. პლანტატორებისათვის ავანსებად გაიღეთ 50 მილიონი მხოლოდ ეს მოხდა აპრილში, როდესაც თამბაქო უკვე დათესილი უნდა ყოფილიყო. პლანტატორები დაშინებული იყვნენ მონოპოლიით და დაბალი ფასებით და ძლიერ ცოტა დათესეს. 1913—1916 წლებში თუ სოხუმის ოლქში საშუალოდ 400—500 ათასი ფუთი და კიდევ მეტი მოჰყავდათ, მიმდინარე წელს 30—40 ათასზე მეტს არ მოელიან. პლანტატორთა ყრილობა რომ მოახდინეს მონოპოლიის დასადგენად, ეს უკვე იქ გამოირკვა, პლანტატორები კითხულობდნენ: გვითხარით როგორი იქნება ფასები ჩვენს თამბაქოზე, თქვენს ჰკუაზე ზეპირად დაადგენთ ფასებს, თუ გაუწევთ ანგარიშს წარმოების პირობებს და უცხოეთის ბაზარსო. მთავრობის წარმომადგენლები უპასუხებდენ: ჩვენ არ ვიცით როგორი ფასები იქნება დაწესებული, ხოლო მტკიცე ფასები კი იქნება შემოღებული მთავრობის მიერო.

ნუ თუ ცხადი არ უნდა ყოფილიყო, რომ ასეთს პირობებში, ძლიერ ბევრი პლანტატორი დაანებებდა თავს თამბაქოს მოყვანას და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს. პლანტატორი ხედავდა, რომ მას თამბაქოს ართმევდენ ჩალის ფასად. მას აძლევდენ 400-700 მანეთს მაშინ, როდესაც უცხოეთში ის იყიდებოდა თითქმის ათჯერ მეტად. მას ართმევდენ თამბაქოს სიმინდის ფასში, როდესაც მისი თამბაქო ყოველთვის სიმინდზე ათჯერ და თხუთმეტჯერ მეტი ღირდა. ხშირად ამბობენ: თამბაქოს წარმოება მარტო ეხლა კი არ ეცემა, არამედ 1917 წლიდან დაიწყო მისი დაცემა და ეს აიხსნება იმით რომ ხორბლის ფასებმა აიწია გაცილებით მეტად, ვინემ სხვა საქონლისაო. ამას უთუოდ ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ეს არ იყო მიზეზი იმის, რომ 1916 წელს გაცილებით ნაკლები დაითესა წარსულ წლებთან შედარებით. 1917 წლამდე თამბაქოს მთავარი ბაზარი—რუსეთი, ღია იყო. 1917 წელს ეს ბაზარი თანდათან იკეტება და ევროპასთან სავაჭრო დამოკიდებულებაც ვერ მყარდება. დაგროვილი თამბაქო ვერ საღდებოდა. ცხადია, უნდა შემცირებულიყო მისი მოყვანა წარსულ წელს კი, როდესაც მსოფლიო სავაჭრო გზები გაიხსნა და მთელი ევროპა დამშეული იყო თამბაქოთ, თამბაქოს მოყვანა უნდა გაცხოველებულიყო. თუ მოხდა წინააღმდეგ იმისა, უმთავრესი ამის მიზეზია ის პანიკა რომელიც გამეფდა მეთამბაქოეთა შორის დაბალ ფასებში ძალდატანებით საქონლის ჩამორთმევამ და ძველს წლებში დაგროვილი თამბაქოს გასაღების მოუწყობლობამ. ასეა თუ ისე, მთავრობა შეუდგა კერძო მწარმოებელთა მაგიერობის აწევას თამბაქოს საქმეში. ავანსი გვიან გამოითხოვა, დარიგება ხომ კიდევ უფრო დააგვიანა. ეხლა მეთამბაქოეთ სჭირიათ მრავალი მასალა ბაწარი და სხ. სასოფარკეთილების დეპეშებს გზავნის, მაგრამ ჩვენ ეს მათთვის ვერ მივიწოდებია თავის დროზე.

მთავრობა ეხლა თხოულობს 600 მილიონს ამ საქმეებისათვის. პრინციპიალურად აბა ვინ იქნება ამის წინააღმდეგი რამდენს მეტს დავეხმარებით მწარმოებელთ, უკეთესია. ვშიშობთ მხოლოდ რომ ეს ბიუროკრატიული დახმარება რიგიანად ვერ ეწყოაა და მიზანს ვერ აღწევს.

ჩვენ აქ არ შევეხებით ცუდადაც დაწყებულ მონოპოლიის პოლიტიკურ მხარეს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ის გამწვავება, რომელიც გამოიწვია მან ჩვენსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის განწყობილებაში. აქაც დამარცხდა ჩვენი პოლიტიკა. იძულებული ვიყავით უცხოელებისთვის ყველგან დაგვეთმო ამ საკითხში, მხოლოდ ტყუილად გამოვედით მათ წინაშე ბოლშევიკურ სახელმწიფოდ.

მე ვფიქრობ რომ დრო არის მონოპოლიის საკითხები გადავშინჯოთ მაშინ ნაჩქარევად მივიღეთ ერთგვარი წესები. ცხოვრებამ უარყო ისინი და მათი უვარგისობა გამოაშკარავა. ეხლა მაინც უნდა შევცვალოთ ეს წესები, თორემ მეთამბაქოებას ჩვენში ძირიან ფესვიანად ამოვაგდებთ. სანამ თქვენ ამ საქმეს მოჰკიდებდით ხელს, გვქონდა მრავალ მილიარდის საფასური თამბაქო და მისი კარგ ფასებში განაღდების შესაძლებლობა. გვყავდა რამოდენიმე ათასი ოჯახი გამოცდილი პლანტატორებისა, რომელიც ამ საქმეს ემსახურებოდენ. ეხლა არ გვაქვს არც ერთი, არც მეორე და პლანტატორებიც გარბიან აფხაზეთიდან. ნუ თუ ამის შემდგომაც, თავს დავა[illegible] ყოფილებათ დემაგოგიური საბუთებს, და ანგარიშს არ გაუწევთ მწარე სინამდვილის მოთხოვნილებას? საჭიროა საერთო ძალით შევუდგეთ წამხდარი საქმის გამოსწორებას, თორემ ჩვენი მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგს სამუდამოთ დავღუპავთ. თუ გვინდა მომავლისთვის მაინც საქმის ოდნავად გამოსწორება ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ მონოპოლიის იმ წესს, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ, ან და სრულიად უარვყოთ ყოველივე მონოპოლიური წესები და ძველი მდგომარეობა აღვადგინოთ.